# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბეჭ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 8 მაისი. 2018 წ. №94-95 (8495-8496), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## აფხაზეთს სამი თვით ჩაბნელება ემუქრება?!




4

## თედო ჯაფარიძე – „ოცნების“ პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი?



„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის ოფიციალური ვინაობა ამ დრომდე უცნობია, თუმცა არაოფიციალურად რამდენიმე კანდიდატი ისევ სახელდება.

4 მოქმედი მინისტრის – სოზარ სუბარის, მაია ცქიტიშვილის, დავით სერგეენკოსა და მიხელ ჯანელიძის გარდა ცნობილი ხდება კიდევ ერთი კანდიდატის შესახებ. საუბარია პრემიერ-მინისტრის მრჩეველ თედო ჯაფარიძეზე.

## ვახტანგ ძაბირაძე: საუკეთესო ვარიანტია, კვირიკაშვილი გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი, პრემიერის ადგილი კი დაიკავოს ივანიშვილმა

3

## ირმა ჭკადუა: ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, ციხეში გამოეკეტა დამნაშავეები, რომლებმაც სასაკლაოდ აქციეს ქვეყანა

## ქეთევან მელიქიძე

## არც კი გრცხვენიათ, ქართველებო!

2



## სომხური „ხავერდოვანი რევოლუცია“

6

## მინისტრი შოკში ჩავარდა!..

ძიუდოისტთა გახმაურებული საპროტესტო გამოსვლების ნაცვლად გუშინ საზოგადოების ყურადღება კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ გიორგაძესთან ორსაათიანმა შეხვედრამ მიიპყრო.

როგორც დიალოგის დასრულების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ვარლამ ლიპარტელიანმა განაცხადა, მათ მასპინძელს ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილის მიერ თანხების არამიზნობრივ ფლანგვასთან, გადაწყვეტილებების ერთპიროვნულ მიღებასა და კიდევ არაერთ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციები მიაწოდეს, რომელმაც იგი შოკში ჩააგდო და, როგორც სპორტული უწყების შედარებით ახალდანიშნულმა თავკაცმა, ვითარებაში გასარკვევად რამდენიმე დღე ითხოვა. შესაბამისად, ლოგიკურად გამოიყურება კულუარებიდან გამოჟონილი ცნობა, რომლის თანახმადაც 10 მაისისთვის დანიშნული ძიუდოს ფედერაციის ყრილობა აღარ გაიმართება. **რაც შეეხება აქციებს, როგორც ითქვა, უკანდახევას არავინ აპირებს და ისინი პერმანენტულად გაგრძელდება.**

## საოკუპაციო რეჟიმი ე.წ. საზღვარს კეტავს



ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე საკონტროლო-გამშვები პუნქტები დაიკეტა.

მიზეზად ცხინვალის ე.წ უშიშროების სამსახური, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებს ასახელებს. მოძრაობის აღდგენა 10 მაისიდან იგეგმება.

## ნატოს ფართომასშტაბიანი წვრთნები შავ ზღვაში

რუმინეთის ნაპირებთან ნატოს ფართომასშტაბიანი წვრთნები „ზღვის ფარი-2018“ მიმდინარეობს. წვრთნები 9 მაისამდე გასტანს, მასში მონაწილეობას იღებენ თურქეთის, ესპანეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და საბერძნეთის სამხედრო საზღვაო ძალები. წვრთნებში გამოიყენება სამხედრო-საზღვაო ტექნიკა.



# SOS! ამდენი ნარკობარიგის გადამკიდეს, რა გვეშველება, ხალხო?!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 7 ნარკორეალიზატორი დააკავეს**. როგორც ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მარნეულსა და ფონიჭალაში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 7 ნარკორეალიზატორი დააკავეს. **დაკავებულები არიან: 1967 წელს დაბადებული ფ.ნ., 1976 წელს დაბადებული ი.მ., 1984 წელს დაბადებული ე.ი., 1883 წელს დაბადებული ე.ი., 1975 წელს დაბადებული ი.ც., 1991 წელს დაბადებული ა.ი. და 1990 წელს დაბადებული რ.ა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვისა და გასაღების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა.

**დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკებს სისტემატურად ყიდდნენ. პოლიციამ მათ მიერ გაყიდული ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს საქართველოსა და საფრანგეთის მოქალაქე, 1980 წელის დაბადებული ვ.ვ., ამოღებულია 12 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ და 4 კაფსულა „მეტადონი“.

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო 4 თვეში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკანონო ბრუნვიდან ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება: 8 კილომდე ჰეროინი, 1 კილოზე მეტი კოკაინი, 318 გრამი ახალი ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერება, მათ შორის, „ბუპრენორფინის“ შემცველი 3 456 აბი, ასევე, 1,5 კილოგრამი სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ და 650 გრამი სხვადასხვა სახის ფსიქოტროპული ნივთიერება.**

# ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განათლების სისტემაში ძალადობისგან თავისუფალი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განათლების სისტემის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე განაცხადა.

საქართველოს პრემიერის თქმით, განათლების სისტემაში არსებული ამოცანები, ხელისუფლებასთან ერთად, საზოგადოების მაქსიმალურ აქტიურობას მოითხოვს.

**„ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამ მნიშვნელოვან შეხვედრას ახალგაზრდები ესწრებიან. ნებისმიერი გეგმა, რომელიც განათლებასა და განათლების სისტემის მომავალს უკავშირდება, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სწორედ ახალგაზრდებთან უნდა იყოს განხილული და შეჯერებული.**

**ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში არის ძალიან მნიშვნელოვანი. ახალგაზრდებს გააჩნიათ თამამი იდეები, მომავლის სხვანაირი ხედვა და ასევე, თამამი გადაწყვეტილებების მიღების სხვაგვარი უნარი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის აღმშენებლობის პროცესისთვის. თქვენი ჩართულობა აბსოლუტურად საჭირო და გარდაუვალია. მთავრობის ოთხპუნქტიან გეგმაში, რომელიც ქვეყნის სწრაფ განვითარებას და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობას ისახავს მიზნად, უმთავრესი, ნომერ პირველი პრიორიტეტული მიმართულება არის სწორედ განათლება.**

**ჩვენ მიზნად დავისახეთ, რომ განათლების სისტემა იყოს უფრო მეტად ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და გახდეს ეკონომიკური წინსვლის მთავარი მამოძრავებელი ძალა. რაც მთავარია, ჩვენ გვჭირდება და ვქმნით განათლების სისტემას, რომელიც აუცილებლად იქნება გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე.**




**უპირველესი გამოწვევა, რის წინაშეც ჩვენ აღმოვჩნდით ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე წლებში, გახლდათ განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ამ პრობლემის გადასაჭრელად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მთელი რიგი ღონისძიებები გავატარეთ, განვახორციელეთ სპეციალური პროექტები, მივიღეთ შესაბამისი საკანონმდებლო აქტები.**

**უმაღლესი განათლების სფეროში ჩვენ ვახორციელებთ ძირეულ ცვლილებებს, ხელს ვუწყობთ მოთხოვნადი დარგებისა და პროფესიების განვითარებას, დავიწყეთ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი, გაუმჯობესებული სტანდარტების დამკვიდრება, მსოფლიო ბანკთან ერთად დაწყებულია სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება.**

**საქართველოში თითოეული აბიტურიენტი, სტუდენტი, მშობელი, მთლიანად ჩვენი საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებელი მის სტუდენტებს საერთაშორისო სტანდარტის, საერთაშორისო დონის განათლებას აძლევს.**

**რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, როგორც იცით, ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს განათლების რეფორმის ფარგლებში. პროფესიული სწავლება, ერთი მხრივ, შრომის ბაზრის საერთაშორისო სტანდარტებზე იქნება ორიენტირებული, მეორე მხრივ, მოერგება კონკრეტული რეგიონის საჭიროებებს. უკვე შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებასა და თავსებადობას უზრუნველყოფს. დაწყებულია პროფესიული კოლეჯების შექმნა როგორც უმაღლესი სასწავლებლების, ისე კერძო კომპანიების ბაზაზე. უკვე შემდეგი სასწავლო წლიდან იგეგმება ევროპულ პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გაცვლითი პროგრამების განვითარებისთვის.**

**სასკოლო განათლების განვითარების მიზნად ვისახავთ შემოქმედებითად მოაზროვნე, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების თაობების აღზრდას, მათ მომზადებას სწავლის შემდეგი საფეხურებისა და, ზოგადად, ცხოვრებისათვის.**

**აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სკოლასა და, ზოგადად, განათლების სისტემაში ძალადობისგან თავისუფალი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა. ამ მიმართულებითაც დაწყებულია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა,“** — განაცხადა პრემიერმა.

# ვის რამდენი ხელფასი ექნება ჩვენს ხარჯზე?

**პარლამენტი მარეგულირებელი კომისიებისათვის ხელფასის ზედა ზღვარის განსაზღვრაზე მსჯელობას იწყებს. ამის შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე მიიღეს.**

კომიტეტის წევრებმა პირველი მოსმენით დაუჭირეს მხარი ნაციონალური მოძრაობის წევრის რომან გოცირიძის საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის თანახმად, მარეგულირებელი კომისიებისთვის, როგორც კომუნიკაციების, ასევე ენერგეტიკისა და წყალმომარაგების წევრებისათვის და ხელმძღანელობისთვის, ხელფასის ზედა ზღვარი განისაზღვრება და ის არ იქნება პრეზიდენტის ხელფასზე მეტი.

როგორც რომან გოცირიძემ აღნიშნა, დღეს, მარეგულირებელი კომისიების ხელფასები თითქმის სამჯერ მეტია პრეზიდენტის ხელფასზეც კი და დიდ დისბალანსს ქმნის სახელფასო სისტემაში.

მმართველი გუნდი რომან გოცირიძის არგუმენტებს იზიარებს. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ განაცხადა „სახელფასო პოლიტიკა შესაცვლელია და მნიშვნელოვანია ამ საკითხზე დიალოგის დაწყება“.

**დღეს არსებული მონაცემებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თამჯდომარის ხელფასი არის თვეში 16 537 ლარი, ხოლო რიგითი წევრის ხელფასი 16 338 ლარი. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ხელფასი თვეში — 12 648 ლარი, რიგითი წევრის — 11 900 ლარი. საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი კი დღევანდელი მონაცემებით, არის თვეში 6 900 ლარი. პრემიერ-მინისტრის — 4 250 ლარი, ხოლო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელფასი თვეში 6 500 ლარს შეადგენს.**

# „ბასიანი“ ჩემი არასდროს ყოფილა...



ბერა ივანიშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე განცხადებას ავრცელებს და ცილისწამებას უწოდებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს კლუბი „ბასიანი“ მის კუთვნილებაში იყოს.

განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

**„ჩემი Facebook-ის გვერდზე უამრავი კომენტარი იწერება: პოზიტიურიც და ნეგატიურიც, კეთილის მსურველიც და კრიტიკულიც. ყველას აზრს გაგებით ვეკიდები და უკიდურესი ლანძღვისასაც კი ვცდილობ თავის შეკავებასა და შენდობას. მეგონა, რისი დაბრალებაც შეიძლებოდა, უკვე დამაბრალეს და წაკითხული ან გაგონილი მქონდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თუ ადამიანების სიცოცხლის ხელყოფაში დამადანაშაულებდნენ, ნამდვილად არ მეგონა. სწორედ ამ ბრალდებამ მაიძულა სტატუსის დაწერა.**

**მივმართავ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, მათ მხარდამჭერებსა და გულშემატკივრებს: ვიცი, თქვენ ჩემი სტატუსი არც გაგაწითლებთ და არც მონანიების სურვილს აღგიძრავთ, ვინაიდან თქვენმა არაერთმა რეპლიკამ, სტატუსმა და მოგონილმა ზღაპარმა დამარწმუნა ამაში. მაგალითად, ქალბატონ მეგი გოცირიძეს არც მაშინ შერცხვენია, როცა გამოგონილი ამბავი მამას ინსულტის შესახებ მთელი მონდომებით აიტაცა და აპიარა და არც მაშინ, როცა, თითქოს სამძიმრის სახით, გვირგვინი დადო ბებიას სახლის ჭიშკართან. რომ არა ის ორი ფაქტორი, რომ ქალბატონი ბრძანდებით და ასაკით ბებიად მეკუთვნით — საქმეს სხვანაირად წარვმართავდი და პასუხსაც გაგებინებდით, თუმცა თქვენდამი ჩემი ასეთი ყურადღება ძალიან დიდი პატივი იქნებოდა. ისიც ვიცი, თქვენნაირი მენტალობის ადამიანებს მორალის თემები არც ესმით და არც აწუხებთ.**

**მივმართავ მათ, ვინც პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე, ვალდებული არიან ესმოდეთ, რას ნიშნავს უსაფუძვლო ბრალდება და ცილისწამება — ჟურნალისტებს: სანამ ჩემ წინააღმდეგ ცილისმწამებელ ინფორმაციას გამოიყენებთ, ერთი დამამტკიცებელი საბუთი მაინც მოიძიეთ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ნამდვილად მოგთხოვთ პასუხს კანონის ფარგლებში. დაბოლოს, ვისაც შეგიძლიათ თეთრის შავისგან გარჩევა და სიმართლის დანახვა: კლუბი „ბასიანი“ ჩემი არასდროს ყოფილა, არც რამე კავშირი მაქვს მის მფლობელებთან და არასდროს ვყოფილვარ ამ დაწესებულებაში. პირადად მე და მთელ ჩემს ოჯახს დიდი სურვილი გვაქვს, ამ კლუბში მომხდარი „მკვლელობების“ გამოძიებისა და დამნაშავეების სასტიკი დასჯის. იმედია, ასეც მოხდება.**

**მე კი გულწრფელად თანავუგრძნობ გარდაცვლილთა ოჯახებს და ვიზიარებ მათ მწუხარებას. მუდამ თქვენი ბერა“,** — წერს ბერა ივანიშვილი.

რეპლიკა

# არც კი გრცხვენიათ, ქართველებო!

ბიძია თომადან ძია ობამამდე...

რაც არ უნდა დაგვწამოთ, რასისტობას მაინც ნუ დაგვაბრალებთ, რაც ამერიკელმა მწერალმა ჰარიეტ ბიჩერ სტოუმ ჩვენ ზანგებზე, სწორედ ასე მოიხსენიებდა ის შავკანიანებს, გვატირა, ახლაც, გული მიკვდება „ბიძია თომას ქოხის“ გახსენებაზე! ზანგები მონობიდან კი გაათავისუფლეს, მაგრამ, ვინც მათთვის ადამიანური პირობები, ანუ თეთრებთან გათანაბრება მოითხოვა, მარტინ ლუთერ კინგზე მოგახსენებთ, კიტრივით სწორედ ამერიკელებმა გააგორეს! ორი წლის წინათაც პოლიციელმა ახალგაზრდა 18 წლის შავკანიანს მხოლოდ იმიტომ ესროლა, რომ მოეჩვენა, ის ჯიბიდან რაღაცის ამოღებას აპირებდა! არადა, ბიჭი შეყვარებულს ტელეფონზე ესაუბრებოდა, ჯიბეში მობილურს ხომ არ ჩაიდებდა?! რამდენი მიუსაჯეს პოლიციელს? არაფერი, მოვალეობას ასრულებდა!



კი, მეც აღვშფოთდი, იმ ბიჭის ნათესავ-მეგობრებიც! მერე რა?! რეკლამაა!

და გადაცემაც დაიწყო „იმედზე“. პირველი ტყუილი დიდი ასოებით დაიწერა ფერადკანიანი სტუმრის გასწვრივ — პედაგოგი. კაცი ხილ-ბოსტნეულს ყიდის მაღაზიაში, ესაა მაგის პედაგოგობაც და ბიზნესიც, ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე, 38 ნომერში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, ჰყავს ქართველი ცოლი, რომელსაც როგორც მეზობლები ამბობენ, ხშირად ცემს, უყვარს დალევა და ქართველების ლანძღვა-გინება. აი, ასეთი „პედაგოგი“ მოიპოვა ჟურნალისტმა, რომელიც სტუდიაში დაპატიჟა, პაწა წაატრეინინგა კიდეც და ლუკა რაზიკაშვილისა და სულხან-საბას პირით „პაჩწი“ დედა აგინებინა ქართველებისთვის! მართალია, პედაგოგიც კარგა გამოთაყვანებული შეხვდა ქართულად ტკბილმოუბარ ნიგერიელს, რადგან მწერლები და მათი ლექსები ერთმანეთში აერია, მაგრამ ეს ვერავინ შენიშნა გადაცემაში მონაწილე გენიალურ აუდიტორიაში. ნიგერიაში, სადაც თვე არ გავა, რომ ტერაქტებს სერიოზული მსხვერპლი არ მოჰყვეს, სადაც ტერორისტები ცოცხლად წვავენ ბავშვებს, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში, ბარაკებსა და სარდაფებში ცხოვრობს და ქუჩაში გამოსვლისა ეშინია, თურმე ყველაფერი კარგადაა და საქართველოში რასისტები ცხოვრობენ, თბილისელებს კიდევ მეგრელები ეზიზღებათ! თანაც ფეხბურთის ნაკრებიც თეთრებითაა დაკომპლექტებული! არც კი გრცხვენიათ ქართველებო, თამაშიც არ იცით და არც შავს არ ათამაშებთ! მეტიც, ნიგერიელმა უნდა გასწავლოთ სულხანმა, სანამ საბა გახდებოდა რომ დაგიბარათ „ძალა ერთობაშიაო?“ აი, ეგ ადგილი კიდევ ერთად გავიაროთ, როგორ ერთობაშია ძალა ქართველების ნიგერიელებთან ერთად იყავითო, თუ ქართველები იყავით ერთადო?!

**ქეთევან მელიქიძე**

**P. S. ეეეჰ!, რეპლიკა უშველის ჩვენს გამოთაყვანებას?!**



# ვახტანგ ძაბირაძე: საუკეთესო ვარიანტია, კვირიკაშვილი გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი, პრემიერის ადგილი კი დაიკაოს ივანიშვილმა

**არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთი ნაწილი საპრეზიდენტო არჩევნებზე საერთო კანდიდატზე მსჯელობს. ამ მიზნით შეხვედრა რამდენიმე დღის წინათ ამსტერდამში, მიხეილ სააკაშვილთან შედგა. ოპოზიციის მესამე ნაწილი — დავით უსუფაშვილი და ალეკო ელისაშვილი არჩევნებში დამოუკიდებლად აპირებს წარდგენას. ჯერჯერობით უცნობია, რა სტატუსით წარდგება საპრეზიდენტო არჩევნებზე უპარტიო ირაკლი ალასანია. პრეზიდენტობის სურვილი დააფიქსირა „მშრომელთა“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა და საარჩევნო კამპანიაც დაიწყო.**

**როგორ გადანაწილდება ოპოზიციური ამომრჩევლის ხმა და რატომ არ აქვს შანსი გიორგი მარგველაშვილს — ამ საკითხებთან დაკავშირებით კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე გვესაუბრება.**

**— ახალი მემარჯვენეების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილია, თუ გავითავისწინეთ, რომ პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩეველი არის ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ფიქრია ჩიხრაძე, ალბათ, მოსალოდნელიც იყო ეს სვლა. მარგველაშვილს მხარს უჭერს „თავისუფალი დემოკრატებიც“, მაგრამ ორივე პარტია არის ურეიტინგო. შესაბამისად, რა შანსები შეიძლება ჰქონდეს მათ მიერ მხარდაჭერილ გიორგი მარგველაშვილს?**

კარგია, რომ კანდიდატების დასახელება დაიწყო. ალბათ, ეს პროცესი გაგრძელდება, რადგან როგორ ჩამოყალიბდება საზოგადოებრივი აზრი, გარკვეულწილად მაინც ამაზე იქნება დამოკიდებული, რომელი ოპოზიციური კანდიდატი შეიძლება გახდეს მიმზიდველი მთლიანი ოპოზიციისთვის.

**— ანუ მნიშვნელოვანია, რომ სავარაუდო კანდიდატები დასახელდეს?**

— რა თქმა უნდა. იქნება ეს ალეკო ელისაშვილი, დათო უსუფაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, შალვა ნათელაშვილი თუ ვინმე სხვა. ალბათ, კიდევ ვიღაცები დასახელდებიან და შემდეგ აი, ამ წრიდან უნდა მოხდეს ერთიან კანდიდატზე ჩამოყალიბება. მარტო ორი პარტია და მარგველაშვილი, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის გამარჯვების მოსაპოვებლად. შესაბამისად, ჯერჯერობით ადრეა ამაზე საუბარი.

**— ვინ იქნება მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატი, ცოტა მოგვიანებით გაირკვევა. მაგრამ უკვე დასახელებული კანდიდატებისთვის — დავით უსუფაშვილი, ალეკო ელისაშვილი, სანდრო ბრეგაძე, შალვა ნათელაშვილი — რამდენად შეძლებს მარგველაშვილი კონკურენციის გაწევას?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, ორი პარტიის მხარდაჭერა საკმარისი არ არის არა მხოლოდ გამარჯვებისთვის, არამედ იმისთვის, რომ სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ხელისუფლების კანდიდატს. ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი სჭირდება. ლაპარაკი იმაზე, რომ პირველი ტური იქნება პრაიმერი და მეორე ტურში გასულ კანდიდატს დაუჭერენ მხარს, ასე მარტივად არ არის საქმე. მეორე ტურამდე მისვლაა საჭირო. მეორე ტურისთვის საჭიროა ერთიანი კანდიდატის დასახელება. გაბნეული ოპოზიცია ამას ვერ შეძლებს. ამიტომ, ორი პარტიის მხარდაჭერა საკმარისი არ არის. მაგრამ კარგია, რომ დაიწყო კანდიდატების წარდგენა. უნდა მოხდეს ამ კანდიდატების დასახელება და შემდეგ ჩამოყალიბდნენ, ვინ არის ყველაზე უფრო რეიტინგული, ან გამაერთიანებელი არა მთელი ოპოზიციური პარტიების, არამედ ოპოზიციური ამომრჩევლის — ეს სრულიად სხვა რამეა.

არ ვლაპარაკობ ოპოზიციური კანდიდატების ერთიანობაზე, არამედ ვლაპარაკობ კანდიდატზე, რომელიც შეძლებს ოპოზიციური ელექტორატის გაერთიანებას. აი, ეს არის აუცილებელი.

**— ოპოზიცია საუბრობს ერთიანი კანდიდატის აუცილებლობაზე, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციის ამ ნაწილს სწორედ იმიტომ აკრიტიკებს, რომ „ნაციონალებს“ ეკუთვნოდათ საერთო კანდიდატის ინიციატივა...**

— არა, არა ბატონო. გაერთიანებულ კანდიდატზე და იმაზე, რომ ოპოზიცია ერთიანი კანდიდატით უნდა წარმდგარიყო არჩევნებზე, ამ საკითხზე დიდი ხანია, საუბარი მიდის საექსპერტო წრეებში. ეს სააკაშვილის იდეა ნადვილად არ არის. რა თქმა უნდა, ისინი სულ ასე ამბობენ, რომ მათი იდეა არის ყველაფერი, მაგრამ რეალობა ნამდვილად არ არის ასეთი.

**— ამსტერდამში გამართულ მოლაპარაკებაში, სადაც ერთიან კანდიდატზე იყო მსჯელობა, მონაწილეობას ღებულობდნენ ის ოპოზიციური ძალები, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს საზოგადოება იცნობდა როგორც ფსევდო ოპოზიციურ ჯგუფს. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეჯერდება ეს ჯგუფი ერთიან კანდიდატზე და რა შედეგს ელოდებით ამ ჯგუფისგან?**

— ცოტა რთულია ამაზე საუბარი, იმიტომ, რომ ის ხალხი ვინც ამსტერდამში შეიკრიბა, ყოველთვის მოიაზრებოდნენ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად. იქ ახალი არაფერი არ მომხდარა. შესაბამისად, მათი ელექტორატი არის „ნაციონალური მოძრაობის“ ელექტორატი. ამიტომ, ლაპარაკი იმაზე, რომ ეს გაერთიანება რაღაცა წარმატებას მიაღწევს, რა თქმა უნდა, არასწორია. ეს იქნება მაქსიმუმ 10%-იანი კანდიდატი.

„ნაციონალური მოძრაობის“ პრობლემა გახლავთ ის, რომ მათი რეალური მხარდამჭერთა რაოდენობა არის 8%. ასეთია NDI-ის გამოკითხვის შედეგებიც და ამას აჩვენებს ყველა არჩევნების შედეგებიც. პარტიას არა აქვს ზრდის რესურსი და პრობლემაც ეს არის. პარტიას რომ ჰქონდეს რესურსის ზრდის შანსი, მაშინ კი ბატონო, არანაირი პრობლემა არ იქნება და ვიტყოდით, რომ ყველაზე ძლიერი პარტია არის და ამიტომ, მისი კანდიდატიც უნდა იყოს. ამიტომაც ვლაპარაკობ ოპოზიციურ ელექტორატზე და არა ოპოზიციურ პარტიებზე.

**— როგორი უნდა იყოს „ქართული ოცნების“ კანდიდატი, რომელიც შეძლებს გააერთიანოს ოპოზიციური ამომრჩეველი და პარალელურად, კონკურენცია გაუწიოს ოპოზიციურ ძალებს? რამდენად რთული არჩევანის წინაშე დგას მმართველი გუნდი, რომელსაც ძალიან ბევრი კრიტიკულად განწყობილი ამომრჩეველი ჰყავს?**

— ძალიან მარტივი მიზეზის გამო მმართველ გუნდს ნამდვილად არ ეჩქარება კანდიდატის დასახელება. ჯერჯერობით ოპოზიციურ ფლანგზე არ ჩანს ისეთი სურათი, რომ ვიღაცა სერიოზული და რეალური კანდიდატი შეიძლება დაუპირისპირდეს. არ ჩანს ერთიანობა და შესაბამისად, თუ ოპოზიცია იქნება ისევ გაშლილი თუ დაშლილი, როგორც ადგილობრივ არჩევნებში, მაშინ არანაირი პრობლემა არ ექნება ხელისუფლებას — გაიმარჯვებს.

მმართველ გუნდს ნამდვილად არა აქვს კანდიდატის წამოყენების პრობლემა, ვინც არ უნდა წამოაყენონ, გაიმარჯვებს. ორგანიზაციული სტრუქტურა აწყობილი აქვთ, ყველა რაიონულ ცენტრს აკონტროლებენ. სხვა საკითხია თვითონ შიგნით რამდენად უნდათ სიტუაციის დალაგება — არა პარტიის, არამედ სახელმწიფო სტრუქტურის დალაგება და გამართვა. თუ სახელმწიფო სტრუქტურის გამართვაზე იქნება საუბარი, დღესდღეობით ქვეყნისთვის და „ქართული ოცნებისთვის“ საუკეთესო ვარიანტია გიორგი კვირიკაშვილი გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი, მისი ადგილი კი დაიკავოს ბიძინა ივანიშვილმა. ვფიქრობ, ეს საუკეთესო ვარიანტია ქართული პოლიტიკისთვის.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# ირმა ჭკადუა: ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, ციხეში გამოეკეტა დამნაშავეები, რომლებმაც სასაკლაოდ აქციეს ქვეყანა

**პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებებისთვის სასჯელი მკაცრდება. დეპუტატებმა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები პირველი მოსმენით სესიაზე განიხილეს. უმრავლესობის წევრების თქმით, თუ უფლებამოსილების გადამეტებისთვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ეს ვადა გაიზრდება.**

ოპოზიციის წევრების თქმით, ცვლილებების მიუხედავად, ხელისუფლებაში არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ ეს კანონმდებლობა აღსრულდეს. შესაბამისად, სხდომას არ ესწრებოდა ოპოზიცია, ისინი აღნიშნულ ცვლილებებს მხარს არ უჭერენ.

„გირგვლიანის შესწორებების“ კანონპროექტის მიზანია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ სისტემური დანაშაულის დროს ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის შემადგენლობის განსაზღვრა, მკაცრი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და პროპორციული სასჯელის დაწესება.

ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის 12 მუხლში განხორციელდება, ასევე კოდექსს დაემატება ორი ახალი მუხლი. პირველი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად სარგებლობას შეეხება; მეორე ამ პირების მიერ უკანონო ბრძანების ან დავალების გაცემას გულისხმობს, რაზეც პასუხისმგებლობა მკაცრდება. გარდა ამისა, შესწორებების ერთ-ერთი მიზანი გირგვლიანის საქმეზე ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულება არის.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის **ეკა ბესელიას** თქმით, აღნიშნული ცვლილება პოლიტიკური გზავნილი იქნება ნებისმიერი თანამდებობის პირისთვის.

**„ეს ცვლილებები მიმართულია მომავლისკენ და დაზღვევისკენ. ის ვერ გავრცელდება წარსულზე, იმიტომ, რომ იცით კანონი, რომელიც ამკაცრებს პასუხისმგებლობას მას უკუქმედებითი ძალა არა აქვს. შესაბამისად, ამ ცვლილებით არის პოლიტიკური გზავნილი, რომ ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელიც ჩაიდენს ნებისმერ დანაშაულს, რომელიც დღეს არის სისხლის სამართლის კოდექსის მძიმე მუხლებში, დაისჯება უფრო მკაცრად, ვიდრე დაისჯება ჩვეულებრივი მოქალაქე.**



**ეს არის მთავარი გზავნილი, რაც შეეხება სამართლებრივ ტექნიკას და კონსტრუქციას, თავად როგორ მოხდება ამის ფორმულირებები, ამაზე შევთანხმდით, რომ მეორე მოსმენის დროს გაგრძელდება სამეცნიერო წრეებთან ერთად კონსულტაციები“,** — განაცხადა ეკა ბესელიამ.

მმართველი გუნდის შეფასებით, თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულს სახელმწიფო განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს.

იურისტი **ირმა ჭკადუა** ამბობს, რომ პროცესი ძალიან დაგვიანებულია. მისი თქმით, ამ ცვლილებაზე დეპუტატებს უნდა ეფიქრათ ამნისტიის აქტის მიღებისას.

**„ჩვენ ვხედავთ, რომ წინა ხელისუფლების სულ ორი წარმომადგენელია ციხეში — ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი, რომლებმაც ისარგებლეს იმ სიკეთით, რომელიც 2012 წლის ამნისტიამ მოუტანა პატიმრებს. ამნისტიის მუხლში უნდა ჩაედოთ, რომ ეს არ შეეხებოდა რეჟიმს. თითოეული მათგანისთვის იყო ცნობილი, რომ წინა ხელისუფლების მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები იყვნენ დამნაშავეები მთელ რიგ საკითხებში და მით უფრო სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით.**

**ახლა ძალიან დაგვიანებულია და ძალიან სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ციხეში გამოეკეტა დამნაშავეები, რომლებმაც სასაკლაოდ აქციეს ქვეყანა. შიშის, ტერორის და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იყო საქართველო, მათ ვერ მოახერხეს, დაეპატიმრებინათ ამ რეჟიმის შემოქმედი სააკაშვილი. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ამ მძიმე მუხლით თუ ვინმეს დააკავებენ, ისევ მათივე თანაგუნდელები დააკავონ და მძიმედ გაუსწორდნენ. ძალიან მძიმე საყურებელია ეს ყველაფერი“,** — ამბობს ირმა ჭკადუა.

**მზისა ქარჩაიძე**



# ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, როდესაც პოლიტსაბჭოში არ არიან დარგობრივი სპეციალისტები!..

**„ქართულმა ოცნებამ“ რადიკალური ცვლილებების მოლოდინი კიდევ ერთხელ გაუცრუა საზოგადოებას – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ აქტიურად დაიწყო საუბარი, რომ საკადრო გადაადგილებები მმართველი პარტიის პოლიტიკური საბჭოდან დაიწყებოდა, თუმცა ჯერჯერობით, ყველაფერი 21-კაციანი საბჭოს შემცირებით დასრულდა.**

უმრავლესობა არ გამორიცხავს, რომ ახალი შემადგენლობის 15-კაციან გუნდში პარტიის ყრილობამდე კიდევ შევიდეს ცვლილებები, თუმცა რა პრინციპის გათვალისწინებით, მოგვიანებით გამოჩნდება.

პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობით კმაყოფილია მმართველი გუნდი, როგორც დეპუტატმა, რომან კაკულიამ, რომელიც პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს ახალ შემადგენლობაში აღარ იქნება, განაცხადა, რომ ახალი გუნდი ზუსტად პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც დღეს არის „ქართული ოცნების“ წინაშე.

მისი განმარტებით, საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მთავრობასთან და ახლებური გააზრება, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობა.

არსებობდა მოლოდინი, რომ პოლიტსაბჭოში შევიდოდნენ რეფორმატორების სახელით ცნობილი მინისტრები, თუმცა მხოლოდ მაია ცქიტიშვილსა და სოზარ სუბარზე შეჩერდა არჩევანი.

ოპოზიციის ერთი ნაწილი თვლის, რომ პოლიტსაბჭოს შემადგენლობიდან გამომდინარე, უკვე ნათელია ივანიშვილის პოზიციაც და მიზნებიც – პარტია „თავისუფალმა საქართველომ“ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოსთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებაც კი გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ცვლილებები აშკარად აჩვენებს ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებას ლიბერალური და ეროვნული ფასეულობების მიმართ.

**„ასევე ხაზს უსვამს მის გეგმებს 2020 წელთან დაკავშირებით, როდესაც ის გეგმავს „ქართული ოცნების“ სახელით ხელისუფლებაში (პორტირებული) ნაციონალების და „ევროპული საქართველოს“ კოალიციის დაბრუნებას“,** – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ექსპერტი რამაზ საყვარელიძე არ გამორიცხავს, რომ ცვლილებები პარტიის ყრილობამდე კიდევ განხორციელდეს, რადგან ამ ეტაპზე რაც გაკეთდა, მხოლოდ პარტიული ლიდერების პოლიტსაბჭოში შეყვანა იყო – მეორე და მესამე ეშელონის ხალხი კი საბჭოს შემადგენლობიდან გავიდა.

**„გარდა ამისა, შემცირდა პოლიტსაბჭოს ზომაც, რადგან მცირე სტრუქტურა ბევრად უფრო ქმედითუნარიანია. ჯერჯერობით რაც გაკეთდა, ამ მოსაზრებას ვხედავ“,** – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ცვლილებები არ განხორციელებულა გუნდების მიხედვით, ასეთი დასკვნის გამოტანა შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ კონსერვატორთა გუნდიდან რომელიმე თანამდებობაზე მყოფ ლიდერს დაატოვებინებდნენ პოლიტსაბჭოს და რაკი ასეთი რამ არ მომხდარა, ვერ ვიტყვით, რომ ეს ცვლილებები კონსერვატორული ფრთის პოლიტსაბჭოდან გაყვანის მიზნით განხორციელდა.

**„ჩემთვის, როგორც ანალიტიკოსისთვის გაუგებარია, როდესაც პარტიული გადაწყვეტილებების სამზარეულოში – პოლიტსაბჭო სწორედ ასეთი სამზარეულოა – არ არიან წარმოდგენილი დარგობრივი სპეციალისტები – ეს საჭიროა კომპეტენტური გადაწყვეტილებების მისაღებად, თუმცა ასეთ შემთხვევაში მოცულობაში მეტისმეტად გაიზრდებოდა პოლიტსაბჭოს შემადგენლობა. მეორე მხრივ, მარტო ადამიანებიც არ არის საკმარისი, მათ ამოქმედებაც სჭირდებათ“,** – მიიჩნევს რამაზ საყვარელიძე.

მისივე შეფასებით, უდავოდ პოზიტიური მომენტია პოლიტსაბჭოს შემცირება, რადგან ასეთი ფორმატით გადაწყვეტილებების მიღება უფრო სწრაფად არის შესაძლებელი.

**მარიამ თოდაძე**

# აფხაზეთს სამი თვით ჩაბნელება ემუქრება?!

**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 2019 წლის დასაწყისიდან ენგურჰესის დიდი ხნით გაჩერება, ამ უნიკალური სადგურის რეაბილიტაციის გამო, კარგა ხანია, გადაწყვეტილია.**

ენგურჰესის გაჩერების დროს წარმოქმნილი ჩვეულებრივი ენერგოდეფიციტი ელექტროდენის წრიული მიწოდების სქემით იფარებოდა რუსეთის ფედერაციიდან („ინტერ რაო“-ს მიერ), ძირითადად რუსეთის და ნაწილობრივ – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. მაგრამ ახლა თბილისში ფიქრობენ, რომ ასეთი სქემით სარგებლობა საკმაოდ დიდ ხარჯებს გამოიწვევს, თანაც მაშინ, როცა გაზრდილია შიდა მოთხოვნილება და ზედმეტი ენერგიაც არ არსებობს. თავის მხრივ, რუსეთის სამხრეთშიც დამატებითი ელექტრონერგიის გამომუშავება, საქართველოსა და აფხაზეთში მიწოდების მიზნით, სულ უფრო რთული ხდება: ყირიმის მიერთების გამო ადგილობრივი ენერგოსისტემა ძალიან გადატვირთულია, ელექტროდენის გამომუშავების დამატებითი წყაროები კი ამოწურულია!..

**ენგურჰესის გენერალური დირექტორის ლევან მებონიას თქმით, ენერგოობიექტის რემონტი (მისი სიმძლავრე 1,3 გიგავატია) 2019 წლის თებერვალში უნდა დაიწყოს, რომელიც სამ თვემდე გაგრძელდება. რემონტი ადრეც ბევრჯერ ჩატარებულა,** – დააზუსტა მან, – **მაგრამ ასეთი ხანგრძლივი არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, საქართველოს აღარ შეუძლია აფხაზეთისთვის რუსეთში ელექტრონერგიის შესყიდვა, რადგან თბილისისა და სხვა მომხმარებლებისთვის დიდი დეფიციტი იქმნება“.**

2017 წელს, როცა ენგურჰესი სარემონტოდ რამდენიმე კვირით გაჩერდა, საქართველო, რუსული „ინტერ რაო“-სგან, წრიული სქემით, დაახლოებით 200 მეგავატს ყიდულობდა, რაც აფხაზეთისთვის იყო აუცილებელი. ლევან მებონიას თქმით, **საქართველო რუსეთიდან ერთ კილოვატსაათ ელექტროენერგიას 0,05 დოლარად იღებდა, აქედან 0,045 დოლარის დოტაციას მოსკოვი აკეთებდა, 0,005 დოლარის კი – საქართველო. „მაგრამ, რადგანაც ახლა ვადები ძალზე დიდია – სამი თვის განმავლობაში უკვე მნიშვნელოვანი თანხა გროვდება – მისი გადახდა საქართველოსთვის მიუღებელია“,** – განაცხადა ენგურჰესის ტოპ-მენეჯერმა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველო აღარ




აპირებს აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის შესყიდვას.

ლევან მებონიას თქმით, **აფხაზეთი მუდმივად არღვევს ჯენტლმენურ შეთანხმებას ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყოფის თაობაზე, რომელიც 1990-იან წლებში იქნა მიღწეული: 60% - საქართველოს, 40% - აფხაზეთს. სოხუმს ბოლო თვეებში ელექტროენერგიის 95% მიჰქონდა (911 მილიონი კილოვატსაათი). ლევან მებონია ამბობს, რომ აფხაზეთი ელექტრონერგიის ფასსაც არ იხდის, მოლაპარაკება ამ საკითხზე უშედეგოდ დასრულდა.**

რასაკვირველია, **ენგურჰესის გაჩერების შედეგად ელექტრონერგია საქართველოსაც მოაკლდება, მაგრამ, როგორც ენერგეტიკის სამინისტროში ამბობენ, „თბილისს აქვს სხვა წყაროები მისი შესყიდვისთვის“.**

**საქართველოს ელექტრობალანსი ისეა მოწყობილი, რომ ზაფხულობით ზედმეტი ენერგიის ექსპორტი ხდება (მათ შორის, რუსეთშიც), ხოლო შემოდგომა-ზამთარში – იმპორტი (რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან). ასე, მაგალითად, 2017 წელს „ინტერ რაო“-მ საქართველოს 501 მილიონი კილოვატსაათი მიაწოდა, მიიღო 262 მილიონი კილოვატსაათი. აფხაზეთისთვის გადასაცემი ელექტრონერგიის ფასის გადახდა რუსეთის ბიუჯეტიდან მოხდა: 2017 წლის დეკემბერში ფედერალურმა მთავრობამ „ინტერ რაო“-ს 2016-17 წლებში 772 მილიონი რუბლი გამოუყო. ამასთან, რადგან „ინტერ რაო“-ს აფხაზეთთან ცალკე შეთანხმება დადებული არა აქვს, ანგარიშგება ხდება საქართველოში ექსპორტიდან (სამხრეთ ოსეთთან სხვა სიტუაციაა).**

აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელმა, ინფორმაციისა და პროტოკოლის (საოქმო) სამმართველოს უფროსმა ელზა ჭანბამ განაცხადა, რომ **„რუსეთის მხარდაჭერის იმედი გვაქვსო“. მისი თქმით, „ჩვენ სხვადასხვა სიტუაციების გათვლის მუდმივ რეჟიმში ვიმყოფებით და მხედველობაში ვიღებთ ენერგიის მოწოდების შეწყვეტის შესაძლებლობასაც“.**

საქართველოში არ გამორიცხავენ, აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის გადაცემის საკითხი შეიძლება სოხუმ-მოსკოვის რთულ ურთიერთობებში არგუმენტად იქცეს. როგორც ექსპერტი დავით ავალიშვილი განმარტავს, რუსეთმა „ენერგეტიკული ჩიხის“ არსებობისას შეიძლება, ჯიუტ აფხაზეთზე ზემოქმედება მოახდინოს. **მაგრამ მთავარი ისაა, რომ რუსეთიდან აფხაზეთში ელექტროენერგიის მიწოდების განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რუსეთის „სამხრეთის გაერთიანებული ენერგოსისტემა“ „დაძაბულ რეჟიმში“ მუშაობს, – ამბობენ „სისტემურ ოპერატორში“ („რაო ეეს“-ის დისპეტჩერი). „სამხრეთის გაერთიანებულ ენერგოსისტემას“ გენერაცია ტრადიციულად არ ჰყოფნის, განსაკუთრებით ყირიმის ენერგოსისტემის მიერთების შემდეგ. რუსეთის სამხრეთში ელექტრონერგიის გამომუშავება 2017 წელს 5%-ით გაიზარდა, მოხმარება კი – 9,1%-ით. შესაბამისად, „ცენტრი-სამხრეთის“ ელექტროგადამცემი ხაზები პიკური საათების დროს სრულადაა დატვირთული.**

2018 წლის პირველ კვარტალში საქართველოში ელექტროექსპორტი არ დაწყებულა და შეიძლება, საერთოდ არც დაიწყოს!..

**მოამზადა**
**ვახტანგ ეგრისელმა.**

# უნდა შემცირდეს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა

**პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ბოლო დღეების განმავლობაში ნარკოტიკით გარდაცვალების ფაქტებს გამოეხმაურა.**

**ზოიძის თქმით, ახალი ნარკოტიკული საშუალებები, რომელთაც ახალგაზრდების სიცოცხლე ემსხვერპლა, მსუბუქი ნარკოტიკების საფარქვეშ ვრცელდება. რაც შეეხება ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებულ კანონპროექტს, მმართველი გუნდის დეპუტატის თქმით, დისკუსიები ჯერ კიდევ მიმდინარეობს და მუშაობა შემდეგი რამდენიმე კვირის განმავლობაში დასრულდება.**



**„ცხოველი დისკუსიები მიდის ამასთან დაკავშირებით. გაყოფილია აზრი. ასეთ პირობებში, როდესაც ადამიანები იღუპებიან ნარკოტიკული საშუალებებისგან, ეს ასევე იწვევს საზოგადოების იმ ნაწილის გააქტიურებას, რომელიც მოითხოვს, რომ კიდევ უფრო გამკაცრდეს დამოკიდებულება, მათ შორის მომხმარებელთა მიმართ. ამ ვითარებაში აუცილებელია, საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ. ალბათ, შემდეგი რამდენიმე კვირის მანძილზე შევძლებთ და დავასრულებთ მუშაობას იმ რეფორმაზე, რომელიც კონსენსუსის საფუძველზე შეიძლება, რომ დაინერგოს. ჩემი პირადი აზრით და ასევე, იმ ბევრი ადამიანის აზრით, ვინც ამ მიმართულებას ემხრობა, მიგვაჩნია, რომ დეკრიმინალიზაცია არის გამოსავალი. უნდა შემცირდეს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა, რაც შესაძლებელია პრევენციაში შესაბამისი თანხების ჩადებით“, – განაცხადა ზოიძემ.**

# აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე 85 წლისაა

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს ქართული გეოლოგიური სკოლის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძეს ღირსშესანიშნავ თარიღს — დაბადების 85 წლისთავს.**

ბატონმა ერეკლემ ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში გეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების და, პირველ რიგში, მისი უმნიშვნელოვანესი დარგის — ტექტონიკის განვითარებაში. განსაკუთრებით საგულისხმოა მის მიერ, 1967-1968 წლებში გერმანიაში მივლინების შემდეგ, კავკასიისა და სხვა ნაოჭა-მთათა სისტემებში ე.წ. პლანეტარული ნაპრალოვნების აღმოჩენა და მისი გლობალური ხასიათისა და მნიშვნელობის დასაბუთება.

აკად. ე. გამყრელიძე პირველი შეუდგა კავკასიისა და ხმელთაშუა ზღვის ოროგენული სარტყლის მოსაზღვრე რეგიონების გეოდინამიკური ევოლუციის პრობლემის შესწავლას და საბჭოთა კავშირის გეოლოგთა შორის ერთ-ერთმა პირველმა განიხილა ეს ევოლუცია, ძირითადად ოკეანეების მრავალმხრივი გეოფიზიკური და გეოლოგიური კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული, ახალი უნივერსალური გეოლოგიური თეორიის — ფილების ტექტონიკის პოზიციიდან, რასაც მოჰყვა მთელი რიგი საყოველთაოდ აღიარებული თეორიული წარმოდგენების გადასინჯვა და დედამიწის ქერქისა და ლითოსფეროს განვითარების სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია. რელიეფის წარმოქმნის, კლიმატის ცვალებადობის, მაგმატიზმის, მეტამორფიზმის, ნალექდაგროვების, ცოცხალი ორგანიზმების მიგრაციისა და განსახლების და ბოლოს, სასარგებლო წიაღისეულის განაწილების სივრცულ-დროითი კანონზომიერებანი ბუნებრივად დაუკავშირდა ლითოსფეროს ფილების გადაადგილების თეორიას.

მან პირველმა, სხვა მთათა სისტემების ანალოგიურად, კავკასიისა და მისი მოსაზღვრე რეგიონების დეტალური შესწავლის საფუძველზე, დაადგინა დედამიწის ქერქისა და ლითოსფეროს ჰორიზონტალური ტექტონიკური განშრევება და ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან დაიწყო ამ განშრევების ერთ-ერთი გამოხატულების ე.წ. შარიაჟული სტრუქტურების (დედამიწის ქერქის მნიშვნელოვანი ჰორიზონტალური გადაადგილება) აგებულებისა და წარმოშობის მექანიზმის შესწავლა. აკად. პ. გამყრელიძესთან ერთად დაადგინა შარიაჟების არსებობა კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე და მტკვრის დეპრესიაში, რასაც მოჰყვა სპეციალური მონოგრაფიის გამოქვეყნება.

ეს გამოკვლევები იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ 1976 წელს იგი აირჩიეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობის ერთ-ერთი ჯგუფის მეცნიერ-ხელმძღვანელად და აქედან მოყოლებული, თითქმის 17 წლის განმავლობაში, იგი უძღვებოდა ამ ჯგუფის საორგანიზაციო თათბირებს, სამეცნიერო სესიებსა და საველე სამუშაოებს ევროპის სხვადასხვა მთათა სისტემების: ალპების, კარპატების, პირენეების, ბალკანიდების, აპენინებისა და კავკასიის ფარგლებში. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით გაიმართა ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.



ე. გამყრელიძემ პირველმა განიხილა კავკასიისა და მოსაზღვრე რეგიონების ტექტონიკური დანაწევრება ე.წ. ტერეინული ანალიზის საფუძველზე, რასაც მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ერეკლეს მიერ, აკად. დ. შენგელიასთან ერთად, კავკასიის ალპურამდელი კრისტალური სუბსტრატის მრავალმხრივი შესწავლა, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად შეიცვალა არსებული წარმოდგენები ამ სუბსტრატის სტრუქტურისა და მისი ამგები ქანების ასაკის, ურთიერთდამოკიდებულებისა და წარმოშობის გეოდინამიკური პირობების შესახებ. ამ საკითხებსა და ზოგიერთ სხვა თანამედროვე თეორიული გეოლოგიის პრობლემებს ეხება ამ ავტორთა მიერ შექმნილი მონოგრაფია „კამბრიულისწინა და პალეოზოური რეგიონული მეტამორფიზმი, გრანიტოიდული მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“(458 გვ.), რომელიც 2005 წელს მოსკოვში, გამომცემლობა „ნაუჩნი მირში“ გამოიცა და საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია.

აკად. ე. გამყრელიძე 1969 წლიდან, თითქმის 26 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა კურსს: „სტრუქტურული გეოლოგია“, და „გეოტექტონიკა“, მისი მოწაფეები დღეს ცნობილი მეცნიერები არიან.

ბატონი ერეკლე მრავალი წლის განმავლობაში გამოდიოდა სამეცნიერო მოხსენებებით მიუნჰენის, პარიზის, ვენის, ვარშავის, რომის, ბრატისლავის, სოფიის, ბუქარესტის, პრაღის, ფრიბურგის, მოსკოვისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. მისი შრომები, რომელთა რაოდენობა 200-ს აღემატება (მათ შორის, 8 მონოგრაფიაა), გამოქვეყნებულია მსოფლიოს სხვადასხვა მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებსა და გამომცემლობებში. ამასთან იგი არის 90-ზე მეტი ხელნაწერი შრომის (გეოლოგიური ანგარიშების) ავტორი.

მან პირველმა საქართველოდან წაიკითხა ლექციების კურსი ტექტონიკის დარგში კემბრიჯის და ედინბურგის უნივერსიტეტებში. შემთხვევითი როდია, რომ ევროპისა და აზიის რეგიონული გეოლოგიის ენციკლოპედიაში (Champen and Hall, 1997) საქართველოს გეოლოგიური აგებულებისა და ევოლუციისადმი მიძღვნილი თავი ბატონი ერეკლეს დაწერილია.

იგი არის არაერთი უცხოური (NATO LYNCAGE, INTAS (Open call), ISTC (ორჯერ), SCOPES (ორჯერ), DARIUS (ორჯერ) და საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების (სამჯერ) მფლობელი.

მის, როგორც მეცნიერისა და ინტელექტუალის, ავტორიტეტს უდავოდ ამაღლებს რამდენიმე უცხო ენის ცოდნა.

აკად. ე. გამყრელიძის მიერ შედგენილია საქართველოს მრავალი რეგიონის გეოლოგიური და ტექტონიკური რუკები, იგი არის მთავარი ავტორი და რედაქტორი ევროპის საერთაშორისო (1:5 000 000) და კავკასიის ტექტონიკური (1:1 000 000) რუკებისა და საქართველოს ზოგადი სეისმური დარაიონების რუკის (1:1 000 000) თანაავტორი და 1:500 000 და 1:1 000 000 მასშტაბის საქართველოს ახალი გეოლოგიური (2009 წ.) და ტექტონიკური (2013 და 2015) 1:500 000 მასშტაბის ციფრული ვერსიების, რომლებიც გამოქვეყნებულია აგრეთვე საქართველოს ეროვნულ ატლასში.

ბატონი ერეკლე იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და შაჰ-დენიზის ნავთობ და გაზსადენების მშენებლობასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-სეისმოტექტონიკური კომისიების თავმჯდომარე. გარდა ამისა, მან შეისწავლა საქართველოს მინერალური წყლების ბევრი საბადოსა და მადნიანი ველის გეოლოგიური აგებულება და ფორმირების პირობები.

აკად. ე. გამყრელიძე მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას, არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, საერთაშორისო გეოლოგიური რუკის კომისიის, საერთაშორისო პლანეტოლოგიური ასოციაციის, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“სარედაქციო საბჭოს, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და რამდენიმე საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა საყოველთაოდაა აღიარებული. იგი არის ალ. ჯანელიძისა და ა.თვალჭრელიძის სახელობის პრემიების ლაურეატი და დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ ერეკლეს იუბილეს, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, მხნეობას, დაუცხრომელი ენერგიის შენარჩუნებას და მომავალი შემოქმედებითი გეგმების შესრულებას ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## „საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე და უორდროპების მემკვიდრეობა“




**19 მაისს დიდ ბრიტანეთში, სევენოუკში, სერ ოლივერ უორდროპის (1919-1921 წლებში სამხრეთ კავკასიაში გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი კომისრის) სახლში გაიმართება ღონისძიება „საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე და სერ ოლივერ უორდროპის მემკვიდრეობა“.**

ღონისძიების ავტორი და ორგანიზატორია ცირა კემულარია, დიდ ბრიტანეთში მცხოვრები და Royal Dutch Shell-ში მოღვაწე ქართველი. პროექტი ლონდონში საქართველოს საელჩოსა და თიბისი ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. თიბისი ბანკის ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს ფარგლებში, ოქსფორდის უნივერსიტეტმა პირველად გამოსცა საქართველოსადმი მიძღვნილი წიგნი, რომელიც ბოდლეანის ბიბლიოთეკაში დაცულ, უორდროპების მდიდარ კოლექციას ეფუძნება. კოლექცია შეიცავს წლების მანძილზე ოლივერ და მარჯორი უორდროპების მიერ შეგროვებულ და უნივერსიტეტისთვის გადაცემულ მასალას; მათ შორის, უძველეს ქართულ ხელნაწერებს, უნიკალურ წიგნებსა და საარქივო დოკუმენტებს.



კონფერენციის ფარგლებში გაიმართება დისკუსია, რომელიც ასახავს როგორც უორდროპების, ისე სხვა ცნობილი ევროპელი მეცნიერების ღვაწლს ქართული კულტურისა და ლიტერატურის წარმოჩენასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერაში.

ღონისძიების ფარგლებში დაფუძნდა საქველმოქმედო ფონდი. ფონდში შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება საქართველოს მემკვიდრეობისა და კულტურისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ქართულიდან ინგლისურად თარგმნას და გაერთიანებულ სამეფოში გამოცემას.

# სომხური „ხავერდოვანი რევოლუცია“



**1992 წლიდან მოყოლებული დღემდე, მეზობელი სომხეთის ამბავები არასდროს არ ყოფილა მსოფლიო მედიის მიერ პირველ სიუჟეტად გამოტანილი ისე, როგორც ა.წ. აპრილის შუა რიცხვებში.**

ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა ე.წ. „დიდი ძმის“ წყალობით მიიღო. თითქმის ყველა ერთდროულად გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი; თითქმის ყველამ, საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე, აირჩია განვითარების გზა. უმეტესობამ ისევ ძველი ურთიერთობების, ოღონდ სახეშეცვლილის გაყოლა ამჯობინა, ზოგმა ნანატრ დასავლურს მიაშურა.

ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, რომელმა კურსმა მოუტანა წარმატება ამა თუ იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, თუმცა განვლილი წლების პოლიტიკურ-ეკონომიკური შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, წარმატებას იმათ მიაღწიეს, ვინც დაბალანსებულ პოლიტიკას მისდია. სომხეთი ის ქვეყანაა, რომელმაც ახალს, ანუ დასავლურს ისევ ძველი, ისტორიული კავშირები ამჯობინა.

რუსეთთან ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება სომხეთისთვის, თუკი ქვეყნის შიგნით მცხოვრები 3 მილიონი სომეხი და გაცილებით მეტი გარეთ მყოფი, სერიოზულად არ დაავადდება ნაციონალიზმის ბაცილით და რუსეთთან ძველ ძმობას დასავლეთთან ურთიერთობებზე არ დაახურდავებს.

ტერიტორიით ტანმორჩილი სომხეთი, წიაღისეულით ნაკლებად მდიდარი, გეოპოლიტიკურ ჩიხში მოქცეული და მეზობელი ქვეყნების კეთილი ნების შემყურე, თავისთავად საჭიროებს ისეთ მყარ ზურგს, როგორიც რუსეთია — მეზობელი ქვეყანა, მხოლოდ საჰაერო გზით დაკავშირებული მასთან.

სომხეთს მძიმე ისტორიული ურთიერთობა აქვს მეზობელ თურქეთთან. გავიხსენოთ გენოციდი; საომარი დამოკიდებულება აზერბაიჯანთან, თურქეთის სისხლთან და ხორცთან. საბჭოეთის დროს დაწყებული ტერიტორიული კონფლიქტი მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით დღესაც გრძელდება და, რომ არა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს „მიძინებული“ ომი.

**სტრატეგიულ პარტნიორთან დამაკავშირებელი გზა — საავტომობილო თუ სარკინიგზო, სომხეთის მეზობლებზე გადის, რაც თავისთავად აფერხებს მჭიდრო კავშირურთიერთობას რუსეთთან. ეკონომიკური თვალსაზრისითაც სომხეთი ის ქვეყანაა, სხვა ყოფილებთან შედარებით, მეტ დახმარებას რომ საჭიროებს. ასეთ ფონზე მისთვის საინტერესოა, შესაძლოა მომხიბლავიც, წინადადებები, რომლებსაც ისმენს აშშ-დან, ევროკავშირიდან. თუ რამდენად რეალურია მხოლოდ შედეგი დაგვანახვებს, რასაც დრო სჭირდება. არადა, სომხეთს, ისე როგორც მასავით ყოფილ ღარიბ საბჭოელებს, ახლა სურთ დახმარების მიღება.**

სულ ახლახან ბელარუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ბრძანა — „დასავლეთი ბევრს გვპირდება, თუმცა ზედმიწევნითი დასაბუთების წარდგენას გვთხოვს. განხილვის შემდეგ, წლების მიხედვით გაიწერება ის, რისი მიღებაც გვსურს. რუსეთი არაფრის წარდგენას არ გვთხოვს. ის მზადაა, უმალ გამოგვიყოს დახმარება. რომელი სჯობს?!“

სომხეთის არჩევანი ზემომოყვანილი და სხვა ფაქტორებით იყო და არის გამოწვეული. სომხეთი დსთ-ს, ევრაზიული კავშირის და სხვა იმ კავშირის წევრია, რაც არსებობს პოსტსაბჭოთა სივრცეში. მისი ეკონომიკურ-სოციალური ვითარება გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ხელისუფლებას სერჟ სარგსიანის სახით მეტი ყურადღება დაეთმო სოციალური საკითხებისთვის. როგორც ჩანს, მან ქვეყნის მმართველის სავარძელს უფრო მეტი ყურადღება დაუთმო, რითაც გამოიწვია ხალხი.

ა.წ. 17 აპრილს სომხეთის ეროვნულმა კრებამ დიდი უმრავლესობით — 77, წინააღმდეგი 18, მხარი დაუჭირა სერჟ სარგსიანის კანდიდატურას ქვეყნის პრემიერ-მინისტრად. მანამდე, ის 10 წლის განმავლობაში იყო ქვეყნის პრეზიდენტი. მანვე 2015 წელს დაიწყო საკონსტიტუციო რეფორმა, რომლის მიხედვით ძალაუფლება პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრზე გადავიდა.

პრეზიდენტი სიმბოლური ფიგურა გახდა, პარლამენტი — უფრო აქტიური. სარგსიანმა უნაკლოდ გაიარა თითქმის ყველა პროცედურა — 2015 წელს რეფერენდუმი კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. 2017 წელს საპარლამენტო არჩევნები, სადაც მმართველმა „რესპუბლიკურმა პარტიამ“ და „დაშნაკცუთიუნმა“ 65 მანდატი მოიპოვეს, ხოლო ოპოზიციამ — ცარუკიანისა და „ელქის“ (გამოსავალი) ბლოკმა შესაბამისად 31 და 9 მანდატი.

სარგსიანის გარანტირებულმა გამარჯვებამ რისხვა გამოიწვია ხალხში. სარგსიანმა ყველა ფრონტზე გაიმარჯვა, მაგრამ არა მთავარზე — ხალხზე. ხალხმა ეჭვი შეიტანა საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ლეგიტიმურობაში და მას საპროტესტო გამოსვლები შეაგება.

**ქუჩის გამოსვლები უცხო არ არის სომხეთში. ასეთი ახლდა თითქმის ყველა არჩევნებს. ტრადიცია არც ამჟამად დაირღვა. ახალ აქციებს სიმწვავე შესძინა პარლამენტარმა ფაშინიანმა, რომელსაც ანტიევრაზიულის რეპუტაცია აქვს. მის გამოსვლებში გაისმა ქვეყნის ცალმხრივი პოლიტიკური კურსის კრიტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს თანამედროვე მსოფლიოს მრავალფეროვნებას და ყველა კვერცხს რუსეთის ბუდეში დებს.**

ფაშინიანი აკრიტიკებდა სარგსიანის ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ევრაზიულ და საბაჟო კავშირებში შესვლასთან დაკავშირებით. მან არაერთხელ გააჟღერა „დეკომუნიზაციის“ და „დესოვეტიზაციის“ თემები, კორუფცია, სხვა მანკიერებანი, რამაც, როგორც სომხები ამბობენ, ღრმად გაიდგა ფესვი.

ქოჩარიან-სარგსიანის ხელისუფლება, ე.წ. ყარაბახური მაფია, ათ-ათი წელი იყო სომხეთის სათავეში, თუმცა ამით მოსახლეობას სიკეთე არ უგრძნია. სარგსიანის „რესპუბლიკურმა პარტიამ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში, თუმცა თვით სარგსიანს, როგორც ჩანს საყოველთაო, სახალხო მხარდაჭერა არ ჰქონია. სომხეთში ყოველთვის იყო მებრძოლი ოპოზიცია, თანაც დასავლეთისკენ მაცქერალი — მისი და დასავლეთში მცხოვრები სომხების წყალობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხალხის საპროტესტო გამოსვლები ნებისმიერი არჩევნების შემდეგ იყო თვალშისაცემი. პოლიტიკურ წრეებში არსებული სიმპათიები ევროატლანტიზმისადმი იყო პრეზიდენტ სარგსიანისა და მისი ხელისუფლების საჭოჭმანო თემა პოლიტიკური კურსის არჩევის დროს. დიდი ტვინის ჭყლეტის შემდეგ — შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სარგსიანის გადაწყვეტილება იყო ევრაზიული კავშირი, თუმცა ამით ევროკავშირი არ ჩამოიწერა და მოგვიანებით ისეთივე შედეგი მიიღეს, როგორსაც მეზობელმა საქართველომ მიაღწია — ასოცირების ხელშეკრულებით.

სომხეთი ევრაზიულ კავშირშიც შევიდა და ევროკავშირთანაც გააფორმა ასოცირების ხელშეკრულება, ისე რომ ბრიუსელს ერთხელაც არ წამოსცდენია — „ან ჩვენ, ან რუსეთი“, რასაც ის კატეგორიულად მოითხოვდა უკრაინისგან.

**როგორც ჩანს, პრეზიდენტმა სარგსიანმა ვერც „დასავლური“ ნაბიჯით მოიგო ოპოზიციის გული და სხვა ნაბიჯი შეაშველა დასავლურობას — პრეზიდენტ სარკისიანის სახით, რომელსაც დასავლეთის მიმართ ერთობ „კეთილგანწყობილად“ ახასიათებენ (მომავალმა პრემიერმა სარგსიანმა პრეზიდენტის პოსტზე ბიზნესმენისა და ინგლისში სომხეთის ელჩის არმენ სარკისიანის კანდიდატურა შესთავაზა პარლამენტს და საზოგადოებას), თუმცა არც ამ ნაბიჯმა შეარიგა ის საზოგადოებას — დაღლილს მისი ათწლიანი მმართველობისგან.**

**სომხეთის „ხავერდოვანი რევოლუცია“ წააგავს 2003 წლის საქართველოს „ვარდების რევოლუციას“. ისე, როგორც საქართველოში, სომხეთშიც მმართველმა პარტიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და მხარი დაუჭირა მისთვის აუტანელ, მიუღებელ ოპოზიციას. პრეზიდენტმა სარგსიანმა დათმო პოზიციები ისე, როგორც შევარდნაძემ, რაც ქვეყანას მძიმედ დაუჯდა. არ არის გამორიცხული ამ თვალსაზრისით სომხეთშიც ისე განვითარდეს მოვლენები, როგორც საქართველოში.**

არის სარგსიანი უნიკალური, ძალაუფლებისადმი ტრფიალში?

არამც და არამც. არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ დემოკრატიულ ევროპაში (მერკელი), სხვაგან გვაქვს მსგავსი რამ, მაგრამ სომხებმა ვერ აიტანეს — ქუჩაში გამოვიდნენ. შედეგი — „ხავერდოვანი“ რევოლუცია, ანუ სერჟ სარგსიანის გადადგომა და ოპოზიციის ლიდერის ფაშინიანის გაპრემიერება. იმ ოპოზიციის, რომელსაც საკმარისი ხმებიც არ გააჩნდა ახალი პრემიერის ასარჩევად. წინააღმდეგობის გაწევის პირველი ცდა მმართველმა „რესპუბლიკურმა პარტიამ“ ფრიადზე ჩააბარა — ხმათა უმრავლესობით უარი უთხრა ფაშინიანს პრემიერობაზე.

გალიზიანებულმა „რევოლუციის“ ლიდერმა ხალხს მოუწოდა დაუმორჩილებლობისკენ, რაც ზედმიწევნით, მეყსეულად შეასრულა ხალხმა. ქუჩების გადაკეტვამ, სხვა ძალისმიერმა მოქმედებამ ათქმევინა „რესპუბლიკურ პარტიას“, რომ განმეორებითი კენჭისყრის დროს მხარს დაუჭერს ფაშინიანს.

ჟამთააღმრიცხველი უდავოდ შეაფასებს ამ მოვლენას — არ არის გამორიცხული, როგორც ძალისმიერს — პარლამეტნზე ზემოქმედებას. ხალხი დიდი ძალაა, თუნდაც შეუიარაღებელი. შეიარაღებული გაისვრის — უნებლიედ, თავის დაცვის მიზნით, რასაც მოჰყვება სისხლიანი რევოლუცია.

სომხეთის „რევოლუცია“ ხავერდოვანია, თუმცა რევოლუცია ჯერ არ დაწყებულა. ის დაიწყება, როდესაც ფაშინიანი პრემიერ-მინისტრის სავარძელს დაიკავებს. განსხვავებული აზრის და მსოფლმხედველობის ფაშინიანს არაფერი აკავშირებს ძველთან, წარსულთან. ის 16 წლის იყო, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. მან არ იცის იმ კავშირების თაობაზე, რაც აახლოვებდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკას ერთმანეთთან, რუსეთთან.

ის რუსეთის მიერ ბოძებულ თავისუფლებაში ჩამოყალიბდა როგორც ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, ოპოზიციონერი. მას არ მოსწონდა სისტემა, რომელიც თავისუფლების დროს ჩამოყალიბდა. მას დასავლური ხიბლავდა და ხიბლავს.

რამდენად მოახერხებს ის ზემომოყვანილი რეალობის და ოცნების ერთმანეთთან შეთავსებას, ფაქტობრივად, შეუთავსებლის, მის ნიჭსა და ალღოზეა დამოკიდებული. რამდენად შეძლებს ის რუსეთთან, მეზობლებთან სალაპარაკო ენის გამოძებნას — ესეც მასზეა დამოკიდებული.

დსთ-ს სივრცეში, ევრაზიულ კავშირში ის თეთრი ყვავივით აღიქმება — არა ისეთად, როგორც წინამორბედი. რეფორმებს, რომლებსაც ის გაატარებს, მოჰყვება წინააღმდეგობა. და მთავარი — მისი მიდგომა ყარაბაღის პრობლემისადმი, აზერბაიჯანისადმი, თურქეთისადმი. როგორი იქნება ამ პრობლემების მოგვარების გზა, და დაუჭერს თუ არა მხარს საზოგადოება მას ამ საქმეში ისე, როგორც „რევოლუციის“ დროს?

ყველაფერი წინ არის და სწრაფ გადაჭრას მოითხოვს — ასეთია ხალხის სურვილი.

ერთია ქუჩის საპროტესტო გამოსვლები, იქ მიღებული გადაწყვეტილება და მეორეა მშვიდ ვითარებაში, პრემიერ-მინისტრის კაბინეტში. ერთია შთამბეჭდავი მიტინგური გამოსვლა და მეორეა პრემიერ-მინისტრის განცხადება.

სომხეთის „ხავერდოვანი რევოლუცია“ წააგავს 2003 წლის საქართველოს „ვარდების რევოლუციას“. ისე, როგორც საქართველოში, სომხეთშიც მმართველმა პარტიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და მხარი დაუჭირა მისთვის აუტანელ, მიუღებელ ოპოზიციას. პრეზიდენტმა სარგსიანმა დათმო პოზიციები ისე, როგორც შევარდნაძემ, რაც ქვეყანას მძიმედ დაუჯდა. არ არის გამორიცხული ამ თვალსაზრისით სომხეთშიც ისე განვითარდეს მოვლენები, როგორც საქართველოში...

ვარაუდი, წარსული პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, დიდი ვერაფერი შეღავათია, მაგრამ კრწანისის შეხვედრის დროს შევარდნაძეს რომ კატეგორიულად არ ეთქვა სახლში წასვლის თაობაზე და 2004 წლის გაზაფხულზე ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა, რაზეც ოპოზიცია თანახმა იყო, სხვაგვარი პოლიტიკური ვითარება შეიქმნებოდა და ქვეყანა გადაურჩებოდა ტრაგიკულ, თითქმის ათწლიან „ნაცურ“ კოშმარს.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# ასე ამბობდა დონალდ ტრამპი



## ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

# წინასაარჩევნო სიტყვა

*ტრამპი არალეგალური მიგრაციის მიმართ გამოირჩევა პოპულისტური პოზიციით. როგორც ის ფიქრობს, უსამართლო სავაჭრო ხელშეკრულებებისა და სამხედრო ინტერვენციების შეჩერების სურვილმა მას განსაკუთრებული მხარდაჭერა მოუტანა „ლურჯ საყელოთა“ შორის.*

*ტრამპის წინასაარჩევნო კამპანია ფართოდ შუქდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რამაც ამ კამპანიის ორგანიზებისთვის დიდი ხარჯი აღარ გააწევინა და იმ პოლიტიკურ მოქმედებათა კომიტეტის მხარდაჭერასაც აარიდა, რომელი კომიტეტიც ტრამპმა გააკრიტიკა. ამ კომიტეტისგან მხარდაჭერილ პოლიტიკოსებთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დიდი ტირაჟით ავრცელებდა ტრამპის გამონათქვამებს იმიგრაციისა და საზღვრების უსაფრთხოების საკითხებზე, აგრეთვე ამერიკა-მექსიკის საზღვარზე დიდი კედლის მშენებლობისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მუსლიმთა შესვლის დროებითი აკრძალვის იდეას. ტრამპის გამონათქვამებმა გამოიწვიეს მიტინგები და ბობოქარი საზოგადოებრივი დისკუსიები.*

*საბოლოო ანგარიშით ტრამპი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკური პარტიისგან.*

## ამერიკულ ინფრასტრუქტურაზე

გამოიცემა კანონი, რომლის მიზანი იქნება, რომ საგადასახადო შეღავათების შეწევნით შესაძლებელი გახდეს კერძო-სახელმწიფოებრივი პარტნიორობის შექმნა და ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების დაბანდება. ყოველივე ამან ათ წელიწადში 1 ტრილიონი დოლარი უნდა მოიზიდოს. ახლა ჩვენ დიდი პრობლემები გვაქვს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. პრეზიდენტ ობამას დროს სახელმწიფო ვალი გაორმაგდა და 20 ტრილიონი დოლარი გახდა. რვა წელიწადზე ნაკლებ დროში ვალი 10 ტრილიონით გაიზარდა — წარმოგიდგენიათ? თანაც ინფრასტრუქტურას ეს არ დახმარებია. რას მივაღწიეთ? პრობლემები გვაქვს გზებთან, ხიდებთან, გვირაბებთან, საავადმყოფოებთან, სკოლებთან დაკავშირებით — ამას ემატება 20 ტრილიონი დოლარი ვალი. ეს რეკორდია! ვეტერანთა საქმეების ჰოსპიტლები სავალალო მდგომარეობაშია, თვითონ სამინისტროც. ამას რაღაც უნდა ვუშველოთ, იმიტომ, რომ ჩვენს ვეტერანებს ძალიან ცუდად მკურნალობენ. ბევრ შემთხვევაში არალეგალურ იმიგრანტებს ბევრად უკეთესად სწამლობენ, ვიდრე ვეტერანებს. ასე არ შეიძლება!

## არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლაზე

უზრუნველვყოთ ჩვენს სამხრეთ საზღვარზე კედლის მშენებლობის დაფინანსება. ნუ ღელავთ, მე უკვე ველაპარაკე, კედლის ფულს მექსიკა გადაიხდის. ის სრულად აუნაზღაურებს კედლის ღირებულებას შეერთებულ შტატებს, გასაგებია? კედელი იქნება და გადაიხდის მექსიკა. ბარემ ვიტყვი, ორთვენახევრის წინათ მე შევხვდი მექსიკელ პრეზიდენტს. შესანიშნავი შეხვედრა შედგა, შესანიშნავი ადამიანია, პირდაპირ ვუთხარი, რომ იმისგანაც რაღაცას მოელიან. ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვაქვს, ჩვენ ჩვენი ადამიანები გვყვანან, ჩვენ ისინი უნდა დავიცვათ, ასე რომ, შეიტანოს თავისი წვლილი. არადა, სხვანაირი ლაპარაკი გვექნება. ამასთანავე კანონი დაადგენს აუცილებელ ორწლიან მინიმალურ ვადას ფედერალურ ციხეში. ეს არალეგალებს ეხებათ, იმათ, ვინც არალეგალურად ბრუნდება გაძევების შემდეგ. და ხუთწლიანი მინიმალური ვადა იმ არალეგალურად დაბრუნებულთათვის, ვინც მსჯავრდებული იყო მძიმე დანაშაულისთვის, ანდა ორჯერ იყო მსჯავრდებული წვრილი სამართალდარღვევებისთვის, ანდა ორჯერ და მეტად იყო დაპორტირებული. ანუ გაძევებულია და მაინც ჩამოდის, კიდევ ვაძევებთ, ის ისევ ჩამოდის — ცხადია, ციხეში ხვდება, ამის შემდეგ კვლავ ჩამოდის, და უკვე ხუთი წელი ესჯება. იმიტომ რომ ამჟამად ისინი ათ-ათჯერ მაინც ჩამოდიან. რამდენიც გინდათ, იმდენია ასეთი შემთხვევა. ჩვენი ღონისძიებების შემდეგ კი, უფრო სწორად, ბოლო დეპორტაციის შემდეგ ისინი შინ დარჩებიან, რათა აქ ციხეში არ ჩასხდნენ. თუკი ასეთ კანონს მივიღებთ, ისინი აღარ ჩამოვლენ. ახლა იმათ არც არაფერი არ ემუქრებათ, სავსებით არაფერი. ასევე სავიზო წესების რეფორმირების დროა უკვე. საჭიროა ვადების დარღვევისთვის სასჯელის გადიდება და გარანტირება, რომ სამუშაო ადგილებს უპირველესად ჯერ ამერიკელები დაიკავებენ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №78-87, 89-90

## წარმოების გადატანასთან ბრძოლის თაობაზე

დადგინდება ბაჟები, რაც კომპანიებისთვის იმის ბიძგი გახდება, რომ წარმოება აღარ გადაიტანონ სხვა ქვეყნებში და არ გაათავისუფლონ მუშები. ამასთანავე იმათ უბაჟოდ შემოაქვთ თავიანთი ნაწარმი უკან ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისინი მიდიან ამერიკიდან როგორც Camier, როგორც Ford, როგორც ბევრი სხვა. ითხოვენ თავიანთ მუშაკთ, მიდიან მექსიკაში ანდა კიდევ სადმე სხვაგან, აშენებენ იქ ახალ ლამაზ ქარხანას და ქირაობენ ადგილობრივთ. მერე იყენებენ თავიანთ კონდიციონერებს, მანქანებს, ყველაფერს, რაც წამოსაღებია და უბაჟოდ მოაქვთ ჩვენი საზღვრის გამოვლით — ჩვენ კი რა გვრჩება ხელთ? უმუშევრობა. მარტო ზარალი და არავითარი მოგება. ამიტომ ისეთ ბაჟებს შემოვიღებთ, რომ ეს საქციელი დაუსჯელი არ დარჩეს. თანამშრომლობით ვეთანამშრომლებით, თავაზიანად მოვექცევით, მაგრამ ასეთ რასმე უშედეგოდ ვერ დავტოვებთ. როცა ჩვენი ბიზნესი იმას მიხვდება, შეწყვეტს ამერიკის შეერთებული შტატების მიტოვებას სხვა ქვეყნების გულისთვის.

## ეროვნული უსაფრთხოების აღდგენის თაობაზე

ხელს გამოვიღებთ ჩვენი შეიარაღებული ძალების აღსადგენად. ამისთვის გავაუქმებთ თავდაცვითი ხარჯების შემცირებას და დავიწყებთ თავდაცვაში სულ უფრო მეტი სახსრების ჩადებას. შეიარაღებული ძალები ახლა ისე საჭიროა ჩვენთვის, როგორც არასოდეს. ჩვენ არ გვინდა იმათი გამოყენება, მაგრამ სწორედ ძალა უზრუნველყოფს მშვიდობას — ამიტომაც გვინდა ძლიერი ჯარი. ამჟამად ის საშინლად დასუსტებულია. ჩვენ აგრეთვე შესალძებლობას მივცემთ ჩვენს გმირ ვეტერანებს, რომ იმკურნალონ სახელმწიფო კლინიკებში და მივიდნენ კერძო ექიმთანაც, თუ ინტერნეტრიგს ელოდებიან. თქვენ იცით, რა აქტიურად გვიჭერენ მხარს ვეტერანები, სამართალდამცველები, სამხედროები, ძალიან აქტიურად გვიდგანან მხარში. ისიც უნდა ითქვას, რომ ინტერნეტ-რიგების გამოისობით დღეში 22 თვითმკვლელობა ხდება. ისინი ექვს, შვიდ, ცხრა დღე ელოდებიან — და მაინც ვერ ხვდებიან ექიმთან. ხშრად სულ უბრალო პროცედურები ან ასევე უბრალო დანიშნულება დაეხმარებოდათ, მაგრამ უყურადღებობისდა შედეგად სავსებით ცუდად არიან და იხოცებიან. თანაც ისე იხოცებიან, რომ ექიმთან მოხვედრას ვერ ახერხებენ.

ჩვენ ვაპირებთ, რომ იმათ მეზობელ სახლში კერძო ექიმთან, ანდა სახელმწიფო, ან კერძო საავადმყოფოში მისვლის საშუალება მივცეთ. ირგვლივ ბევრი ექიმია, რომლებიც გზად არიან იმათ დასახმარებლად და მოხარულნიც იქნებიან, თუ დამატებით შემოსავალს მიიღებენ. ანგარიშს ჩვენ ავუნაზღაურებთ. ასე ბევრად იაფი დაჯდება, თანაც კიდევ, რაც ფრიად მნიშვნელოვანია — ბოლოს და ბოლოს, ნორმალურად მოვემსახურებით ჩვენს ვეტერანებს. იმიტომ რომ, როგორც ახლა იმათ ექცევიან, სრულიად არანორმალურია.

ასევე აუცილებელია ჩვენი საკვანძო ინფრასტრუქტურის დაცვა ახალი მუქარისგან, ეგრეთ წოდებულ კიბერშეტევებისგან. დავადგენთ აგრეთვე საიმიგრაციო შემოწმების ახალ პროცედურებს. აუცილებელია შემოწმება, იზიარებენ თუ არა ისინი, ვისაც ქვეყანაში ვუშვებთ ჩვენი ხალხის ფასეულობებს. ჩვენ ისეთი ადამიანები გვჭირდებიან, რომელთაც უყვართ ჩვენი ქვეყანა ანდა შეუძლიათ შეყვარება თვითონ ქვეყნისაც და ჩვენი მოქალაქეებისაც. ჩვენ გვჭირდებიან ადამიანები, რომელთაც ვუყვავართ. ამის შემოწმება შეიძლება, სხვა ქვეყნები ამოწმებენ — ჩვენ კი არა. ჩვენ უბრალოდ კარი მოვაღიავეთ, ყველას ვიღებთ — „მობრძანდით!“ გვაკერია პირზე.




## საზოგადოებრივი უსაფრთხოების აღდგენის თაობაზე

გამოიცემა კანონი, რომელიც შეამცირებს დანაშაულს, ნარკოტიკების გავრცელებას და ძალადობის დონეს. შეიქმნება ძალმომრეობით დანაშაულთან ბრძოლის საგანგებო სტრუქტურა, აგრეთვე გაფართოვდება ადგილობრივი პოლიციის სწავლების და დახმარების პროგრამის დაფინანსება. დამიჯერეთ, ეს ჩინებული იდეაა. გავაფართოვებთ ამასთანავე ფედერალურ სამართალდამცავ უწყებათა და დანაშაულებრივ ბანდებთან მებრძოლ ფედერალურ პროკურორთა შესაძლებლობებს და დამნაშავეებს ჯერ ციხეში ამოვაყოფინებთ თავს და მერე სამშობლოში გავგზავნით.

## ბავშვებისა და მოხუცების ხელმისაწვდომი მოვლის თაობაზე

ამერიკელებს ნება დაერთვებათ, რომ გადასახადებიდან დაიქვითონ გარკვეული თანხა ბავშვებისა და მოხუცების მოვლისთვის, და კანონი ბიძგს მისცემს დამსაქმებელთ, რომ ჩამოაყალიბონ სამუშაო ადგილებზე სამსახურები ბავშვების მოსავლელად. ზოგიერთი კომპანია ასე უკვე იქცევა, რაც ჩინებული იდეაა. ამას გარდა, შეიქმნება გადასახადებიდან გათავისუფლებული შემნახველი ანგარიშები ბავშვებსა და მოხუცებზე ზრუნვის უზრუნველსაყოფად პარიტეტული შენატანით დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის.

## საშუალო კლასისთვის საგადასახადო შეღავათებსა და გამარტივებული დაბეგვრის თაობაზე

ჩემმა ეკონომიკურმა გეგმამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა წელიწადში 4% და შექმნას 25 მილიონზე არანაკლები ახალი სამუშაო ადგილი. ამის მისაღწევად შევძლებთ გადასახადების მასშტაბური შემცირებითა და გამარტივების გზით სავაჭრო რეფორმასთან შეხამებით, რეგულირების შესუსტებით და ამერიკულ ენერგეტიკაზე შეზღუდვების მოხსნით. ჩვენთვის გადაუდებლად აუცილებელია სამუშაო ადგილები! ისინი, მეტადრე კარგი ადგილები, ხელიდან გვეცლება. განსაკუთრებით სერიოზულად საჭიროა გადასახადების შემცირება საშუალო კლასისთვის, რომელიც აღარავის არ ახსოვს. ეს დავიწყებული ადამიანები არიან. ორბავშვიან საშუალო კლასის ოჯახს გადასახადები შეუმცირდება დაახლოებით 35%-ით. ისინი შეძლებენ გამოთავისუფლებული ფულით სარგებლობას, და ეს ფულიც წავა ჩვენს ეკონომიკაში. გადასახადის გადამხდელთა კლასიფიკაციას გავამარტივებთ, შვიდიდან სამამდე დავწევთ ჯგუფების რაოდენობას. დეკლარაციის ფორმებსაც გავამარტივებთ. გადასახადი კომერციულ საქმიანობაზე დაიწევს 35%-დან 15%-მდე. დოლარების ტრილიონები, ამერიკული კორპორაციების მიერ საზღვარგარეთ გატანილი, ახლა შეიძლება რომ დავიბრუნოთ გადასახადის 10%-ის გასტუმრებით. ეს არ მუშაობს. შედეგად კომპანიებს არ შეუძლიათ ქვეყანაში 2,5 ტრილიონიდან 5 ტრილიონამდე დაბრუნება. ბევრი კომპანიათაგანი მიდის შტატებიდან მაღალი გადასახადების გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ არ შეუძლიათ ქვეყანაში თავიანთი ფულის დაბრუნება. ისინი უბრალოდ ფულისთვის მიდიან. ჩვენ გავამარტივებთ პროცესს, დაე, დააბრუნონ ამათ ეს ფული ამერიკაში და დაე, გამოიყენონ აქ და დახარჯონ ჩვენი ქვეყნის მშენებლობაზე.

**(გაგრძელება იქნება)**

# ქართველთა აზროვნების პარადოქსი!



**როდესაც საქართველოში მივემგზავრებოდი საცხოვრებლად, დარწმუნებული ვიყავი, რომ ქართველების მხრიდან, როგორც რუსი, პრეტენზიების ან, სულ მცირე, დაცინვის ობიექტი გავხდებოდი; რომ ოკუპანტად მომნათლავდნენ და ამას პერიოდულად შემახსენებდნენ. 2016 წლის დასაწყისი იყო — უკრაინაში ომის ირგვლივ ჯერ კიდევ გრძელდებოდა დიდი მღელვარება და ამ ფონზე ეს ჩემი შიშები სავსებით რეალური იყო. ვფიქრობდი, არავინ შეისმენდა, რომ მეზობლების რუსული აგრესიის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და სწორედ ამიტომ დავტოვე სამშობლო, მაგრამ რაც საქართველოში დამხვდა, ნამდვილად გამაოცა. ჩამოსვლის დღიდან დღემდე ქართველების მხრიდან მხოლოდ კეთილგანწყობას ვაწყდები. ამას შეიძლება „კეთილგანწყობის პრეზუმფცია“ ვუწოდო, ანუ სანამ საკუთარ თავს ცუდი მხრიდან არ წარმოაჩენ, შენს მიმართ ადამიანები კეთილგანწყობილნი არიან.**

თავიდან მეგონა, რომ ეს ქართველების არაჩვეულებრივი თვისებაა, განასხვავებდეს ხალხს და სახელმწიფოს და ხვდებოდნენ, რომ 2008 წლის აგრესია არა რომელიმე კონკრეტული რუსის, მათ შორის ჩემი, არამედ რუსეთის ხელისუფლების მილიტარიზმის შედეგია, რის შესახებაც არაერთხელ დამიწერია. თუმცა დროთა განმავლობაში ჩემთვის გასაგები გახდა, რომ ქართველებს გამორჩეული კეთილგანწყობა აქვთ რუსების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაციას ცხადია, ყველა გმობს. განსაკუთრებით ხშირად ქართველებს ასეთი რამის თქმა უყვართ: „როგორ უნდა გვქონდეს მტრული დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, ისიც ხომ მართლმადიდებლურიაო“.

სამაგიეროდ ქართველების უმრავლესობა, განსაკუთრებით აჭარლები მაშინვე გამცნობენ, რომ საქართველოს მთავარი მტერი თურქებია. თურქებს აქ, ფაქტობრივად, ვერავინ იტანს — ვერც დიდი, ვერც პატარა. თურქების გაკვრით ხსენებაზეც კი იწყება გაუთავებელი ისტორიების მოყოლა, როგორ წყვეტდნენ ისინი ქართველებს, როგორ წაართვეს საქართველოს ტერიტორიები და რომ დღესაც სურთ, მთელი აჭარა მიიტაცონ. თავიდან ამას ვეკიდებოდი როგორც მოცემულობას — ისტორიულ პრეტენზიებს, ისტორიულ მიუღებლობას, რომელსაც უბრალოდ უნდა შეეგუო. ამ დეტალებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, ვფიქრობდი, დიდი არაფერია — რაღაც ლოკალური გარჩევებია თურქებთან საყოფაცხოვრებო ნაციონალიზმის დონეზე. თუმცა მოგვიანებით პარალელების გავლება დავიწყე და გთავაზობთ, ერთად დავფიქრდეთ შემდეგზე:

**ბოლოს თურქეთი საქართველოს 100 წლის წინათ დაესხა თავს და ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაშინ მას საკუთარი ტერიტორიების გაფართოების „გეოპოლიტიკური“ ინტერესი ჰქონდა. 1921 წლის შემდეგ, მათ შორის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და განსაკუთრებით სუსტი იყო, თურქეთს არასოდეს მოსვლია თავში მსგავსი რამ და არასოდეს უსარგებლია საქართველოს სისუსტით.**

თავი გავანებოთ საბჭოთა დროს, რომელიც, თავისთავად ცხადია, ოკუპაციის პერიოდი იყო და გადავიდეთ პირდაპირ დამოუკიდებელ საქართველოზე. მოვიყვან მხოლოდ ყველაზე გახმაურებულ ფაქტებს:

**1. 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ომის პროვოცირება;**

**2. შევარდნაძის მკვლელობის მცდელობა;**

**3. ვიზების შემოღება;**

**4. სავაჭრო ემბარგო;**

**5. „ტერაქტის გამო“ საქართველოსთვის გაზმომარაგების შეწყვეტა;**

**6. საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარის შეყვანა და საკუთრივ 2008 წლის ომი, სულ რაღაც 10 წლის წინ!**

შედეგად საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, ომში უამრავი დაღუპული, უდიდესი ზარალი საქართველოს ეკონომიკას და უამრავი სხვა პრობლემა.

მთელი ამ დროის განმავლობაში თურქეთი საქართველოს სანდო და საკმაოდ ერთგული მოკავშირე იყო და მასაც დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დასუსტებულ საქართველოში ინვესტიციებმა და ტურისტებმა დაიწყეს შედინება, საქართველოს მოქალაქეებს კი თურქეთში ვიზების გარეშე, შიდა პასპორტებით შეუძლიათ თურქეთში ჩასვლა და მუშაობა.

და ვინ ჰყავთ ამ დროს ქართველებს მთავარი მტერი? — რა თქმა უნდა, თურქები! აი, რუსეთი კი, რომელიც მუდმივად მანიპულირებდა, აწყობდა ომებს, კლავდა, ამცირებდა ქართველ ხალხს და საქართველოს მიმართ ისეთ დამოკიდებულებას იჩენდა, როგორც საკუთარი გუბერნიისას, მხოლოდ კეთილი გრძნობები შეიძლება, გაგაჩნდეს. აუცილებელია მასთან მეგობრული ურთიერთობების განახლება, საზღვრების გახსნა და ა.შ.

* * *

**სულ ვეკითხებოდი საკუთარ თავს, რა საფუძველი აქვს მსგავს აბსურდსა და პარადოქსს? და ბოლოს თვალი გავუსწორე არასასიამოვნო სიმართლეს: საქართველო გაძეძგილია საკუთარი „საბჭოელებით“. ეს ძალიან მარტივად გაირკვა, როდესაც დაიწყო აგიტაცია ბათუმში ე.წ. „უკვდავი პოლკის“ ჩატარებისთვის, ჩვენ, რუსებს „უკვდავი პოლკი“ დაგვამახსოვრდა როგორც მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა ხსოვნის თავხედური აგდება და ღია მილიტარისტული პროპაგანდა, რომელიც „ხსოვნაზე“ პარაზიტირებს.** საკმარისი იყო მე და რამდენიმე სხვა ადამიანს გამოგვეთქვა ჩემი აზრი იმის შესახებ, რომ ეს მილიტარიზმით გაჟღენთილი „დღესასწაულია“, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ საშინელი ომის მსხვერპლთა ხსოვნასთან, არამედ ხსოვნის დაცინვაა და აგდება, რომ თავად ვეტერანებიც არასოდეს მიესალმებოდნენ მსგავს მილიტარისტულ გამოხატულებებს, რომ დაიწყო ჩვენზე შეტევა: აჰა, შენ ხსოვნის წინააღმდეგი ხარ? ფაშისტო და ა.შ. აზრთა ამ ჭიდილში ხშირად მხვდებოდა ნაცნობი შაბლონები, იგივე თეზისები, რომელსაც არაერთხელ შევხვედრივარ რუსეთში ცხოვრების დროს. და აი, აქ გავაცნობიერე რეალურად რაშია საქმე — ერთმორწმუნეობის ჯაჭვი, გამარჯვების აღლუმები, ერთობლივი საბჭოური წარსული. თურმე, ამ ყველაფერს მარტივად შეუძლია გადაწონოს საქართველოს მიმართ აგრესიის ის ფაქტები, რომელსაც რუსეთი დღემდე აგრძელებს.

და ეს ყველაფერი ხდება რუსეთის პროპაგანდისტული სატელევიზიო არხების ტრანსლირების ფონზე... საქართველოს შიგნით ფორმირდებიან „რუსული სამყაროს“ მხარდამჭერები. სწორედ ისინი გაჰკივიან ყველაზე მეტს თურქების წინააღმდეგ.

არა და ყველამ ვიცით, მეგობარი ჭირში იცნობა და მთელი ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მიმართ მეგობრობას სწორედ თურქეთი იჩენდა აზერბაიჯანთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მათ შემთხვევაში ერთმორწმუნეობის ჯაჭვი არ არსებობს. ასე მაგალითად, სწორედ აზერბაიჯანი დაეხმარა 2006 წელს გაყინულ საქართველოს გაზით, თურქეთი კი გამუდმებით დებს საქართველოს განვითარებაში უზარმაზარ თანხებს, ხელს უწყობს ქვეყნის ნატოში გაწევრებას, საერთაშორისო პლატფორმებზე იცავს საქართველოს ინტერესებს. სხვათა შორის, საქართველოს კიდევ ერთი ქრისტიანი მეზობელი ჰყავს — სომხეთი. არსობრივად რუსეთის სატელიტი და ეს „მოძმე ქრისტიანული ქვეყანა“ გამუდმებით ცდილობს, გაატაროს საკუთარი ინტერესი ოკუპირებული ტერიტორიების გავლით სატრანსპორტო დერეფნის გახსნის შესახებ. ჰოდა, გამოდის, ძალზე საინტერესო სიტუაციაა: ორი ქრისტიანი მეზობელი არც იმდენად მოძმეა, რამდენადაც ორი მუსლიმი, მაგრამ დავიჯერო, ისეთი დეტალის გამო, როგორიც სარწმუნოებრივი კავშირია, შეიძლება, თვალი დახუჭო ოკუპაციაზე, რომელიც 100 წლის წინათ კი არა, დღესაც ხდება?!

საბედნიეროდ, მსგავსი აზროვნება მხოლოდ უფროსი თაობისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც ინერციით ჯერ კიდევ განიცდის თბილ გრძნობებს საბჭოთა იმპერიის მიმართ და ნოსტალგიას იმ დროის მუქთა ცხოვრებისადმი. ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს კი წარმოდგენა არა აქვს, რა იყო საბჭოთა იმპერია და პროგრესულად აზროვნებს.

**და მაინც, საქართველოს ხელისუფლების ადგილზე რომ ვიყო, მთლად თუ არ ავკრძალავდით რუსული პროპაგანდისტული არხების მაუწყებლობას, იმას მაინც გავხდიდი სავალდებულოდ, თითოეული ამ არხის გადაცემებს გასდევდეს მუდმივი წარწერა: „მასმედიის ეს საშუალება შესაძლოა, ავრცელებდეს დაუდასტურებელ და გამიზნულ დეზინფორმაციას“.**

**ილია პუშკინი**

# საქართველო მალე უსაფრთხო ქვეყნად გამოცხადდება

**გერმანულ ჟურნალ Bayernkurier-ში („ბავარიის კურიერი“) დაბეჭდილი სტატია ეხება საქართველოს მოქალაქეებისათვის დაწესებულ ვიზალიბერალიზაციასთან - ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ანდრეას ფონ დელხას-ჰუნტერის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:**

ბავარიის მხარის შინაგან საქმეთა მინისტრის იოაჰიმ ჰერმანის თქმით, საქართველო მალე მიიღებს უსაფრთხო ქვეყნის კატეგორიას, რაც შეამცირებს გერმანიაში თავშესაფრის მთხოვნელ ქართველთა რაოდენობას. ბოლო მონაცემებით, გერმანიაში უვიზო რეჟიმის წყალობით ჩამოსული ქართველები სულ უფრო ხშირად და მზარდი რაოდენობით ითხოვენ თავშესაფარს, რაც ვიზალიბერალიზაციის პირობების დარღვევას წარმოადგენს.

იოაჰიმ ჰერმანს ეთანხმება გერმანიის შინაგან საქმეთა ახალი ფედერალური მინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერი, რომელიც აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი მიეცემა, უვიზო რეჟიმის პირობების დამრღვევი საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია უფრო ადვილად განხორციელდება. აქვე ვიტყვით, რომ ქართველები საკმაოდ ბევრ კრიმინალურ დანაშაულსაც სჩადიან.

ექსპერტთა აზრით, გერმანიაში თავშესაფრის მიღების მსურველთა ასეთი სწრაფი ზრდა განპირობებულია საქართველოს მოსახლეობის დუხჭირი მდგომარეობით, სიღარიბით და უმუშევრობის მაღალი დონით. ასეთი ქვეყნიდან გერმანიაში ჩამოსვლისა და თავშესაფრის მიღების თხოვნის დარეგისტრირების შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში, ისინი უზრუნველყოფილნი არიან ბინით, კვებით და ტანსაცმლით, ეძლევათ „ჯიბის ფულიც“ — თვეში 135 ევროს ოდენობით, პირადი ხარჯებისათვის.

სხვათა შორის, იოაჰიმ ჰერმანი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი წევრის, საგარეო საქმეთა ექსმინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის (რომელიც დღეს გერმანიის პრეზიდენტია — ს.კ.) მიერ გატარებულ პოლიტიკასაც აკრიტიკებს: **„იგი ჩვენს პოზიციას ყურადღებას არ აქცევდა, იგნორირებდა ჩვენს ეჭვებს და საგარეო პოლიტიკას ჩვენი უსაფრთხოების საზიანოდ ახორციელებდა“**, — გაღიზიანებული ტონით ამბობს იოაჰიმ ჰერმანი, — **„არადა, ჩვენ უკვე გვქონდა ერთგვარი გამაფრთხილებელი სიგნალი ბალკანეთის ქვეყნების სახით, რომ უვიზო რეჟიმის დროს თავშესაფრის მიღების მსურველთა რაოდენობა სწრაფად მატულობს“.**

იოაჰიმ ჰერმანის განცხადებით, საჭიროა, უვიზო რეჟიმის დამუხრუჭების მექანიზმი ამოქმედდეს, რომელიც ევროკომისიის პრეროგატივას წარმოადგენს. თავის მხრივ, ევროკომისია აღიარებს პრობლემის არსებობას, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ უვიზო რეჟიმი შეჩერდეს. ევროკავშირის მიაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია საქართველოს ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

**„BAYERNKURIER“**
**(გერმანია)**

# „თქვენი ვარ შვილი“

„საქართველოს რესპუბლიკის“ ძვირფასო მკითხველო! ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180-ე წლისთავის აღსანიშნავად გამოიცა მშვენიერი წიგნი სახელწოდებით – **„თქვენი ვარ შვილი“**, რომლის ავტორები არიან **გალინა ხარებაშვილი, ვალერიან ზურაშვილი** და **მანანა ყიფიანი**. ეს ახალი გამოცემა სრულყოფილად ასახავს ბრძენკაცის ცხოვრებას, შემოქმედებასა და მოღვაწეობას.

კახეთი და კერძოდ, ყვარელი ღვინის სამშობლოდაა ცნობილი. ამ წიგნში მრავალ ინფორმაციას შეხვდებით აღნიშნული ფაქტის შესახებაც, გაეცნობით, როგორც ილიასდროინდელ, ასევე თანამედროვე კახეთის რაიონებსა და მიღწევებს. წიგნი დამშვენებულია ამ კუთხეში არსებული უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული, ისტორიული, ეკლესიური ძეგლების ილუსტრაციებით.



ცნობილი ფაქტია, რომ ძველად ქართველ ქალს მზითვად „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ. პირადად მე, მიმაჩნია, რომ დღეს სწორედ იგივე მისია უნდა შეასრულოს ამ წიგნმაც. ის არა მარტო ქალს უნდა გაატანოს ოჯახმა, არამედ რძალსაც უნდა დაახვედროს, რადგანაც საქართველოს და ქართველობას დღეს ყველაზე მეტად სჭირდება ილიას გზითა და ილიას სიბრძნით სიარული, მის იდეებზე მომავალი თაობების აღზრდა.

ილია გვარიგებდა, გვაფრთხილებდა, გვმოძღვრავდა და ასეა დღესაც. ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში იგი წერს: „უზარმაზარი თხრილია ჩვენს, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირს ვდგევართ და საკმაოა, ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად“.

სამწუხაროდ, ეს თხრილები აწმყოშიც არის და, ალბათ, მომავალშიც იქნება. გადასარჩენად კი „არსებობს ერთი სკოლა, რომლის დამთავრებაც არაა სასურველი, პირიქით, ამ სკოლაში და მის კედლებში მთელი ცხოვრება უნდა გაატარო, ეს სკოლა ილია ჭავჭავაძეა“.

სწორედ ეს წიგნი დაარწმუნებს მკითხველს, რომ ერთადერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხია, ამავე დროს, გვმოძღვრავს წიგნი, თუ როგორ უნდა შევძლოთ, რომ ყოველთვის ვიყვნეთ „დროთა ჩარხზე გაჩარხულნი“.

წიგნი „თქვენი ვარ შვილი“ არა მხოლოდ უნდა წავიკითხოთ, არამედ უნდა ვისწავლოთ და კიდევ ერთხელ ვირწმუნოთ, რომ ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე ილიას არ დარჩენია ქვეყნის ცხოვრებაში პრაქტიკულად არცერთი სფერო და უბანი, რომელშიც არ ჩაეხედოს, არ გაეანალიზებინოს, გამოსავალი არ მოეძებნოს.

ეს ფერადი ილუსტრაციებით, ქართულ-ინგლისური ინფორმაციებით სავსე წიგნი ყველა ოჯახს უნდა ამშვენებდეს. ის, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი ცხოვრების გზამკვლევია.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლიერება გამოვხატო წიგნის რედაქტორების – თამაზ ტყემალაძისა და დავით ლაფაჩიშვილის მიმართ, ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს ამ მართლაც საუკეთესო წიგნის დღის სინათლეზე გამოსატანად, ქართველობას და არა მხოლოდ ქართველობას შესთავაზეს ერის სულიერი მამის კიდევ ერთხელ გაცნობისა და დაფასების საშუალება.

**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი,**
**დამსახურებული პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილის მედლის ორგზის კავალერი, ყვარლის საპატიო მოქალაქე**

# „მარგალიტის ქორწინება“ თელავთან

## საქართველოსა და გერმანიის ქალაქები დაძმობილების 30 წლისთავს აღნიშნავენ

**„1988 წლის 20 ივნისს ორშაბათს, თელავის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა რამაზ კურზეკაშვილმა და ბიბერახის მერმა კლაუს ვილჰელმ ჰოფმანმა, რატუშაში, ხელი მოაწერეს პარტნიორობის შეთანხმებას. მართალია, ამ ორ ქალაქს ერთმანეთისაგან 3500 კილომეტრი აშორებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი 30 წლის განმავლობაში ძალიან დაახლოვდნენ“,** – ნათქვამია გაზეთ Schw/bische Zeitung-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

**„გერმანული ბიბერახი ქართულ თელავს სტუმრად იწვევს, დაძმობილების იუბილეს ერთობლივად აღნიშვნის მიზნით. თელაველები წარმოადგენენ ორ პროექტს: პირველი – ფოტოგამოფენას „ჩვენი ცხოვრება“, რომელშიც გადმოცემულია ადგილობრივ ახალგაზრდა ფოტომოყვარულთა თვალით დანახული მშობლიური ქალაქის ხედები. მეორე კი თელავისა და ბიბერახის თანამშრომლობის 30-წლიან ისტორიას ასახავს.**




ყოველი ბიბერახელი, რომელიც საქართველოში და, კერძოდ, თელავშია ნამყოფი, ქართული ყოფა-ცხოვრების ტრადიციების, ქვეყნის სილამაზითა და ბუნების მშვენიერებით მიღებული შთაბეჭდილებითაა დატყვევებული.

**ბიბერახში მრავალფეროვანი სხვა კულტურული ღონისძიებებიც გაიმართება: ჩატარდება კონცერტი გერმანელი და ქართველი მუსიკოს-მომღერლების მიერ, აგრეთვე ბაზრობა ბიბერახთან დაძმობილებული ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრების მონაწილეობით. რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში თელაველები იქნებიან.**

„SCHWABISCHE ZEITUNG“
(გერმანია)

# ლენინის ქანდაკება აუქციონზე გაიყიდება



**ხარკოვის ოლქის ადმინისტრაციამ აუქციონზე ვლადიმირ ლენინის 3,75-მეტრიანი ქანდაკება აუქციონზე გაიტანა. ქანდაკების საწყისი ფასი დაახლოებით 20 000 დოლარია. აუქციონი 17 მაისს გაიმართება.**

სტატისტიკური მონაცემებით, უკრაინაში სულ 2700 კომუნისტური სიმბოლიკის შემცველი ქანდაკება თუ სხვა სახის მონუმენტი იყო. მათგან 1300 ლენინისადმი იყო მიძღვნილი. მას შემდეგ, რაც 2015 წელს ამოქმედდა კანონი „კომუნისტური და ნაცისტური სიმბოლიკის აკრძალვის თაობაზე“ ყველა ამ სკულპტურის დემონტაჟი მოხდა. თუმცა ზოგიერთ სოფელში შესაძლოა, შემორჩენილია ლენინის ქანდაკებები.


# სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

## აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორია**

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

**უფროსი მეცნიერ–თანამშრომლის კონკურსის პირობები:**
**კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:**

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ქიმიაში;
2. ლაბორატორიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულებების (კერამიკული და პოლიმერული კომპოზიციური მასალები და ნაკეთობები, ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის ქიმიური მეთოდები) შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება.
3. კონკურსანტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და კარგად უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას.
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – **Microsoft Office Word, Microsoft Office Excel**, ინტერნეტი.

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;
1 (ერთი) არასრული საშტატო განაკვეთი;

**მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები:**
**კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:**

1. მაგისტრის ან დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულებების (კერამიკული და პოლიმერული კომპოზიციური მასალები და ნაკეთობები, ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის ქიმიური მეთოდები) შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.
3. კონკურსანტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და კარგად უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას.
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

**ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია**

**მეცნიერ-თანამშრომელი** – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

**მეცნიერ–თანამშრომლის კონკურსის პირობები:**

**კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:**

1. მაგისტრის ან დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების (ნახევარგამტარული მასალებისა და სტრუქტურების შექმნა და კვლევა) შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და კარგად უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას.
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე **(sipt@sipt.org, xlomidze@sipt.org.ge)** უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. განცხადების ფორმა); იხ. **Sipt.org.ge**
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, პატენტების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
8. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

**– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ ფოსტაზე: sipt@sipt.org, xlomidze@sipt.org.ge 2018 წლის 08 ივნისის 10 საათიდან 11 ივნისის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).**

**– კონკურსი გაიმართება 2018 წლის 12 ივნისს.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:**
**ხათუნა ლომიძე**
**ტელეფონი 599959913**

◉ ჭიდაობა

# „თავისუფლები“ - უჩემპიონოდ

**რუსეთის ქალაქ კასპიისკში (დაღესტანი) დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ ბექა ლომთაძე (61 კგ) და გენო პეტრიაშვილი (125 კგ), ხოლო ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის სამგზის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65 კგ), ზურაბ იაკობიშვილი (70 კგ), სანდრო ამინაშვილი (86 კგ) და ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.**

ლომთაძემ ფინალის გზაზე ორი მეტოქე დაამარცხა – რუმინელი ივან გუიდეა (11:0) და აზერბაიჯანელი მირჯალალ ჰასანზადე (12:0), გადამწყვეტი პაექრობა კი რუსეთის ნაკრების წევრ ჰაჯიმურატ რაშიდოვთან 1:4 დათმო. საგულისხმოა, რომ ლომთაძემ ევროპის ჩემპიონატის ფინალი მეორედ წააგო (პირველად – 2015 წელს), ხოლო 2016 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო მეორე.



ევროპული ბატალიები მძიმეწონოსანთა ფინალით დასრულდა: მსოფლიოს და კონტინენტის ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი ოლიმპიურ, მსოფლიოს 2-გზის და ევროპის აწ უკვე 6-გზის ჩემპიონს, თურქ ტაჰა აკგულს შეხვდა. შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პეტრიაშვილმა აჯობა პრინციპულ მეტოქეს, ამჯერად კი დაძაბულ ბრძოლაში აკგულმა რევანში აიღო – 2:1. ამ ორთაბრძოლამდე ქართველმა ფალავანმა ავსტრიელი იოჰანეს ლუდეშერი (11:0) და პოლონელი რობერტ ბარანი (10:0) დაჯაბნა.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ევროპის ჩემპიონატებზე მეექვსე მედალი მოიპოვა. წინა ხუთი 55, 57, 60 და 61 კილოგრამ წონით კატეგორიებში მოიგო, ხოლო ამჯერად 65 კილოგრამში სცადა ძალა და დებიუტი მესამე საპრიზო ადგილით აღნიშნა. მეოთხედფინალში იგი რუსეთის ნაკრების წევრ ილიას ბეკბულატოვთან დამარცხდა (0:6). რეპეშაჟის ფინალში კი პოლონელ კშიშტოფ ბიენკოვსკის სძლია – 8:4.

იაკობიშვილმა ძირითად ბადეში სლოვაკ თეიმურაზ სალკაზანოვს აჯობა (6:2), მაგრამ ნახევარფინალი მომავალ ჩემპიონთან – რუსეთის ნაკრების წევრ მაგომედ ყურბანალიევთან ფრედ – 5:5 დაასრულა, რაც ხელს მასპინძელს აძლევდა „ბრინჯაოს ფინალში“ ჩვენებურმა უკრაინელ ანდრეი კვიატკოვსკის მოუგო (3:1).

ოდიკაძემ სტარტზე მოლდოველ გიორგი რუბაევს კი აჯობა (9:0), მაგრამ რუსეთის ნაკრების წევრ ვლადისლავ ბაიცაევთან ვერაფერს გახდა. დამამშვიდებელში მან უკრაინის სახელით მოჭიდავე მურაზ მჭედლიძე დაამარცხა (5:2) და ევროპის ჩემპიონატებზე ზედიზედ მესამედ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

ამინაშვილმა პირველ ორ წრეში უკრაინის ნაკრების წევრი მრაზ ჯაფარიანი (9:2) და შვეიცარიელი შტეფან რეიხმუტი (4:0) ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ნახევარფინალში ევროპის სამგზის პრიზიორთან, აზერბაიჯანელ ალექსანდრ გოსტიევთან წააგო (0:6). ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობა სანდრომ გერმანიის სახელით მოჭიდავე ახმედ დუდაროვთან ფრედ დაასრულა (4:4), მაგრამ ბოლო ქულის ხარჯზე მესამე ადგილი დაიკავა.

**ლაშა დიდია**

◉ ხელბურთი

# ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ საქართველოს ჩემპიონი გახდა



**თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ნახევარფინალის პირველ მატჩში 2016 წლის ჩემპიონმა ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებმა“ დაძაბულ პაექრობაში ფინალური კვარტეტის დებიუტანტს – თბილისის „პეგასს“ 20:18 აჯობა. მეორე შეხვედრაში „ქუთაისმა“ 2017 წლის ჩემპიონს – თელავის „იმედს“ მოუგო – 31:24. საგულისხმოა, რომ კახელებს ტრავმის გამო აკლდათ უკანახაზელი გიორგაძე, ხოლო მთავარი მწვრთნელის – მერაბ მეტრეველის ავადმყოფობის გამო კლუბმა ფინალური ოთხეულისთვის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გიორგი გვაზავა მიიწვია.**

„ბათუმსა“ და „ქუთაისს“ შორის ფინალურ პაექრობაში ჩემპიონის გამოსავლენად არათუ ძირითადი, დამატებითი დროც არ აღმოჩნდა საკმარისი. მთელი მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ძირითადი დრო ფრედ - 21:21 დამთავრდა. დამატებითი ათწუთიანი ტაიმიც უშედეგო აღმოჩნდა – 26:26, პენალტებში კი „შავი ზღვის ბიჭებმა“ 5:4 მიაღწია წარმატებას და ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ საქართველოს ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. ბრინჯაოს მედლებისთვის პაექრობაში თელავის „იმედმა“ თბილისის „პეგასი“ 25:24 დაამარცხა.

**ფინალი.**

**ბათუმი – ქუთაისი 31:30**

**ბათუმი:** ტორონჯაძე, ცერცვაძე, ტალახაძე- 9, აბრამიშვილი – 6, გოგოლაძე – 6, თევზაძე – 3, სტურუა – 2, ხაჟომია – 2, წივწივაძე – 2, ბულბულაშვილი – 1, ბერძენიშვილი, ქარდავა, სურმავა, ვარშალომიძე, მჟავანაძე.

**ქუთაისი:** ანდრიაძე, კბილაშვილი – 10, რუსტამოვი – 6, გამზარდია – 6, სიმონია – 3, გოგალაძე – 2, მერკვილაძე – 1, გრიშიკაშვილი – 1, ჭელიძე – 1, კობახიძე, მათნაძე, მაისურაძე, გულეიშვილი, გ. ფერაძე, ლომიძე, ჯულელი.

**მსაჯები:** ვალერი როჟკოვი, ანატოლი ნოვიკოვი (უკრაინა).

**ლექსო ცინცაძე**

◉ ჩოგბურთი

# მთავარი პრიზი გორგოძეს ერგო



**საქართველოს ნაკრების წევრმა ეკატერინე გორგოძემ წარმატებით ითამაშა ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), სადაც მესამე ნომრად იყო განთესილი. სტარტზე მან ამერიკელ ელისია ბოსტონს სძლია – 6:3, 6:2, შემდეგ ინდოელი რუტუჯა ბოსალე დაამარცხა – 6:1, 6:0 და მეოთხედფინალში რუს მეწყვილე ანასტასია ფროლოვას აჯობა – 7:6, 6:1. ნახევარფინალის პირველ სეტში ჩვენებურმა 6:1 სძლია რუმინელ ანდრეა ამალია როსკას, მეორეში კი 2:0 რომ დაწინაურდა, რუმინელმა ტრავმა მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა. გადამწყვეტ პაექრობაშიგორგოძემ ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ლესლი კერხოვეს (ჰოლანდია) მოუგო საათსა და 43 წუთში – 6:4, 6:4 და პირველი ადგილი დაიკავა.**

ნახევარფინალამდე მიაღწია მარიამ ბოლქვაძემ, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა აქკულ ამანმურადოვა (უზბეკეთი), ფატმა ალ ნაბჰანი (ომანი, 6:1, 2:6, 6:0) და იზაბელა შინიკოვა (ბულგარეთი, 6:2, 6:3), მაგრამ ნახევარფინალში კერხოვესთან დამარცხდა – 5:7, 2:6.

წყვილებში ეკატერინე გორგოძემ და ანასტასია ფროლოვამ, რომლებსაც განთესვით მესამე ნომერი ჰქონდათ, პირველ წრეში სოფიო შაფათავას და მარიამ დალაქიშვილს სძლიეს – 6:4, 6:2, შემდეგ ფატმა ალ ნაბჰანისა და იზაბელა შინიკოვას აჯობეს – 6:3, 6:2, ნახევარფინალში კი რეიტინგ-ფავორიტებთან – ტერეზა მიჰალიკოვასა (სლოვაკეთი) და ლაურა პიგოსთან (ბრაზილია) დამარცხდნენ – 2:6, 2:6. ამ დუეტმა ფინალში მე-4 ნომრებს – სვიატლანა პირაჟენკასა (ბელარუსი) და ერიკა ვოლგელსანგსასაც (ჰოლანდია) მოუგო – 6:4, 6:1 და წყვილებში მთავარი პრიზი მოიპოვა.

**გივი გაგუა**

◉ წყალბურთი

# წარმატება სტუმრებს ხვდათ

**11-14 მაისს ბულგარეთი 1999 წელს დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს უმასპინძლებს. ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის ბულგარეთის, გერმანიის, ჰოლანდიისა და საქართველოს გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ჩვენი ნაკრები გალაქტიონ ლაითაძის ხელმძღვანელობით დიდი ხანია ემზადება ამ შეჯიბრებისთვის. გასულ უქმეებზე ქართველმა წყალბურთელებმა რუსებთან, ბელარუსებსა და საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებთან ერთად თბილისში ოლიმპიური პრიზიორის – ნოდარ გვახარიას თასის ტრადიციულ გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა.**



ასპარეზობის პირველ დღეს ფავორიტებმა - საქართველოსა და რუსეთის გუნდებმა იოლად სძლიეს, შესაბამისად, ბელარუსსა – 14:6 (4:2, 2:1, 4:1, 4:2) და ჩვენების მეორე ნაკრებს – 12:3 (3:2, 3:0, 5:0, 1:1). ლიდერებს წარმატების მიღწევა არც მე-2 ტურში გასჭირვებიათ: რუსეთი-ბელარუსი 13:3 (4:0, 2:2, 3:0, 4:1), საქართველო(1)-საქართველო(2) 8:5 (2:1, 3:2, 1:0, 2:2). მე-3 ტურში საქართველოს ნაკრები (ბარაბაძე, ცხაკაია, დიასამიძე, სამყურაშვილი, ადეიშვილი, ხოხაშვილი, წულუკიანი, კუჭუაშვილი, დადვანი, ჭეიშვილი, შუშიაშვილი, ქათამაძე, გარსევანიშვილი, მწვრთნელი ლაითაძე) რუსეთთან 10:12 (4:4, 4:1, 0:5, 2:2) დამარცხდა და მე-2 ადგილს დასჯერდა. მთავარი პრიზი სტუმრებს ხვდათ. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ბელარუსებმა საქართველოს 16-წლამდელებს აჯობეს - 12:5 (1:2, 5:1, 5:0, 1:2).

**თამაზ პატარიძე**

◉ ბედისწერა

# ფერგიუსონს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა



**„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს ინსულტი დაემართა. როგორც „წითელი ეშმაკების“ ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, 76 წლის შოტლანდიელს სასწრაფო ოპერაცია წარმატებით ჩაუტარდა, ყველაფერი კარგადაა და მას რეაბილიტაციისთვის ინტენსიური მკურნალობა სჭირდება.**

ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედს“ 26 წლის განმავლობაში თავკაცობდა და მისმა ნავარჯიშევმა გუნდმა 38 ტურნირი მოიგო, მათ შორის პრემიერლიგა –13-ჯერ, ხოლო ჩემპიონთა ლიგა – ორჯერ.

**გიორგი შოთაძე**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს დიმიტრი ობოლაძეს**

**დედის**

**გარდაცვალების გამო.**

## სულთათანა

რეზო გაბრიაძე, არმაზ სანებლიძე, ბიძინა სონღულაშვილი, ნოდარ გიორგაძე, ზურაბ ხონელიძე თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს ნუგზარ ფოფხაძეს ძმის

### დევი ფოფხაძის

გარდაცვალების გამო.

---

ლუიზა, როინ მეტრეველები ოჯახით თანაუგრძნობენ ნუგზარ ფოფხაძეს ძმის

### დევი ფოფხაძის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს ცნობილ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, რედაქციის ერთგულ მეგობარს და მუდამ სასურველ ავტორს, ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს ძმის

### დევი ფოფხაძის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი დღეს, სამშაბათს 11 საათიდან, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში (საბურთალო, ველოტრეკისა და „მერსედესცენტრის" მიმდებარედ), გამოსვენება 14 სთ-ზე, ამავე ეკლესიიდან.

---

მამა ვახტანგ კიკნაძე, შვილი პატიკო კიკნაძე, რძალი ლელა გელაძე, ძმისშვილები ქეთი კიკნაძე, ვახტანგ კიკნაძე მეუღლით ნინია მამისთვალოვი, მამიდები თინა კიკნაძე მეუღლით გივი კვაჭაძე, დარეჯან კიკნაძე მეუღლით ვასიკო ბეკოშვილი, მამიდაშვილები ნინუცა კვაჭაძე, თეა ბეკოშვილი ოჯახით, ბიძა ანგულ ტყეშელაშვილი, ბიცოლა ია პირველაშვილი, ბიძაშვილები ხათუნა ტყეშელაშვილი, თეა ტყეშელაშვილი მეუღლით ვაკო მამულაშვილი, ახლო ნათესავები მაიკო, გოგა, ნოდარ გორგილაძეები, მადონა ჯანაშია, ნელი, ნიკო გელაძეები, ახლობლები და მეგობრები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### კახაბერ (კახა) კიკნაძე

პანაშვიდი 8, 9 V, 17 სთ. მარჯანიშვილის ქ. №2ბ. 17. გამოსვენება 10 V, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

უახლოესი მეგობრები დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ მეგობარს ვახტანგ კიკნაძეს და მისი ოჯახის წევრებს შვილის

### კახა კიკნაძის

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე მარინა ისიანი, შვილი ია, შვილიშვილები ივა, სესილი, რძალი ნესტან ჯიბლაძე, ძმისშვილები სოფიკო, ავთო, ცოლისდა ირა ისიანი, ქვისლი თემურ ბრელიძე ოჯახებით იუწყებიან

### გელა ახვლედიანის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 8 V, 15 სთ. გამოსვენება მოსეშვილის №9, მე-3 სადარბაზო.

---

ჟანა, ნონა ბრელიძეები, ნესტორ ჩიხლაძე, მიშა ხუჭუა, მარინა კანდელაკი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების, საუკეთესო ოჯახის პატრონის, ჩვენთან თანშეზრდილის, საერთო ჭირისა და ლხინის გამზიარებლის, სამეგობროსა და საახლობლოში გამორჩეული, კაცთმოყვარე ადამიანის

### გელა ახვლედიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

---

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები **რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი**

დიდი მეგობრული გულისტკივილით იუწყებიან, რომ საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ყოფილი ტრანსპორტის მინისტრი, საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოში ავტოტრანსპორტის ინდუსტრიის განვითარების დიდი ქომაგი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტის ფაკულტეტის უცვლელი დეკანი, პროფესორი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, ძმობისა და მეგობრობის უბადლო „უსტაბაში", უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი

### ალეკო ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, მის ძმას, ბატონ პეტრე ჩხეიძეს, ოჯახის ახლობლებსა და მეგობრებს.

## სანთელი



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან გამოჩენილი ქართველი გეოლოგის, სპალეოლოგის, „პრომეთეს" მღვიმის აღმომჩენის, შესანიშნავი ჟურნალისტის, ჩვენი გაზეთის ერთგული ავტორის, უკეთილშობილესი პიროვნების

### ჯუმბერ ჯიშკარიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

---

ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი და კოლექტივის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომელი, ცნობილი სპალეოლოგი, „პრომეთეს" მღვიმის აღმომჩენი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე, ფაზისის აკადემიის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

### ჯუმბერ (ვარლამ) ჯიშკარიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## ოზურგეთში 47 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

**ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში, 47 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილს ოჯახი ორი დღის განმავლობაში ეძებდა, გუშინ დილით კი, მამაკაცის ცხედარს მდინარე აჭში მიაკვლიეს. ცხედარი მისმა ძმამ და ბიძაშვილმა იპოვეს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გარდაცვლილ მამაკაცს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება.



## განახლდება ორბელიანის მოედანი

**თბილისის მერი კახა კალაძე გრიგოლ ორბელიანის მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციის ფარგლებში, სარესტავრაციო სამუშაოები 18 მისამართზეა დაგეგმილი.**



ამ ეტაპზე, სარეაბილიტაციო არეალში სარდაფების გაწმენდისა და გამაგრების სამუშაოები, შენობების დაზიანებული ნაწილების დაშლა-გადაწყობის პროცესი და დაზიანებული შენობების კონსტრუქციული გამაგრება მიმდინარეობს. ასევე, ხდება ნაძერწი დეტალებისა და ხის ნაკეთობების აღდგენა-რესტავრაცია.

თბილისის მერის განცხადებით, ტერიტორიაზე საკმაოდ მოცულობითი სამუშაოებია ჩატარებული.

**„აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია, რადგან ძველი თბილისი არის სიმდიდრე, რომელიც ქალაქს გააჩნია და შესაბამისად, მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა სჭირდება. სამწუხაროდ, ქალაქში უამრავი ავარიული შენობა გვაქვს. ვეცდებით, რომ ეტაპობრივად, ყველა"** – განაცხადა კახა კალაძემ.

ორბელიანის მოედანზე მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში, 150 ავტომანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა პარკინგის მშენებლობაა დაგეგმილი. აღნიშნული მიმართულებით, მუშაობა უკვე დაწყებულია. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ასევე, დაგეგმილია ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლის დროსაც, მოწესრიგდება და განახლდება ე.წ. ყვავილების ბაზარი და სარეკრეაციო სივრცეები. შედეგად, ორბელიანის მოედნის მიმდებარედ, თბილისს კიდევ ერთი საფეხმავლო ზონა შეემატება, რომელიც ფხოვისა და ათონელის ქუჩების ნაწილს მოიცავს.

ორბელიანის მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება დაახლოებით, 60 მილიონი ლარია. სამუშაოების ძირითადი ნაწილის დასრულება 2018 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

## ქვევრის ღვინის მეორე საერთაშორისო კონკურსი

**ასოციაცია „ქართული ღვინოს" ორგანიზებითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, თბილისში ქვევრის ღვინის მეორე საერთაშორისო კონკურსი გაიმართა.**

კონკურსის მიზანია საუკეთესო ქვევრის ღვინოების გამოვლენა და პოპულარიზაცია, სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლება და ქვევრის ღვინის წარმოების ხელშეწყობა.

კონკურსზე წარდგენილი იყო 70 როგორც დიდი კომპანიის, ასევე მცირე და საშუალო საოჯახო მარნის 200-მდე ღვინის ნიმუში, რომლებიც ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა. ჟიურის თავმჯდომარეა მეღვინე გიორგი დაქიშვილი.

ქართველ პროფესიონალებთან ერთად ჟიურიში მოწვეული იყო ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი. მან კონკურსზე წარდგენილი ქართული ღვინის ხარისხი საუკეთესოდ შეაფასა.

კონკურსზე წარმოდგენილი ნიმუშების შეფასების შემდეგ, გამარჯვებულების დაჯილდოება, დაახლოებით ერთ თვეში გაიმართება.

ასოციაცია „ქართული ღვინოს" ინიციატივით, ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი საქართველოში პირველად 2017 წელს ჩატარდა. პირველი კონკურსის შედეგად 150 ღვინის ნიმუშიდან 22-მა ოქროს, 20-მა ვერცხლის და 29-მ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
სულხან-საბას
ქ. №3.
29 3-13-34;
599 797679

# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
